


სერპიელი

საერთო ქართული



კმარა,
ენის ნუღარავის
გამოვსახოფინებთ!



- 3 **ვაჟა ხუციშვილი**

- 6 **რეანიმაცია**

- 6 **ირაკლი გამყრელიძე**

- 6 **გაზავეის ფეხბურთი**

- 8 **მამუკა კვანტალიანი**

- 8 **ვინ იქირავებს შაშაწურს?..**

- 10 **მამუკა კვანტალიანი**

- 10 **ფინასკო! იგაფი!**

- 12 **გიორგი დარჯანი**

- 12 **ვაი უნდა ბაიერს!**

- 16 **ბაჩო სვანიძე**

- 16 **ქვიშის გენერლების ახალი კაიიგანი**

- 16 **სოლომონ გულისაშვილი**

- 19 **ვინ, ჯონ, რა ხდება ინდიანაპოლისში?**

- 19 **ლევან კელაშაძე**

- 20 **THE SHOW MUST GO ON**

- 20 **სოსო კოტორეიშვილი**

- 21 **საორბის დედოფლის რინდი**

- 21 **გიორგი დარჯანი**

- 24 **სიგიჟე ერთი ცხოველისა**

- 24 **ავთანდილ გურასაშვილი**

- 26 **გვანდამ გურასაშვილი**

- 26 **დარდანელა გააკაგუნი კასის თავგადასავალი**

ეს ქვეყანა უცნაურადაა მოწყობილი. ხშირად ისეთი დამთხვევები ხდება, კაცმა ლამის არის მისტიკოსობას მიჰყუო ხელი. მაგალითისთვის ჩვენი, 2002 წლის შემოდგომა ავიღოთ – ყველაფერმა, რაც საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობას ეხება, ერთად მოიყარა თავი. პოლიტიკოსები, ეკონომისტები, ფეხბურთელები, მორაგბეები... ყველანი დროის ამ კატარა მონაქვეთში დააჭიდა განებებამ. დაბობბავთ – ვერ დაბვობბავთ, გაშიშვლებთ – ვერ გვაშიშვლებთ, ფეხბურთს მოგიგებთ – ვერ მოგვიგებთ, რაგბიში დაბამარცხებთ – ვერ დაბვამარცხებთ. ხომ შეიძლებაოდა პოლიტიკასა და ეკონომიკაში დაკაბულიყო მდგომარეობა, ფეხბურთსა და რაგბიში კი ერთმანეთის ნაცვლად სამხრეთ და ჩრდილოეთ პოლუსებს გადავყროდით, მაგრამ არა, ბუნებამ სხვაგვარად ისურვა, ხოლო ბუნება მბრძანებელია!

და, გვინდა თუ არა, ფაქტია: როგორც საფეხბურთო, ისევე სარაგბო შეხვედრას მძაფრი პოლიტიკური ელფერი ექნება. სხვაგვარად უცნაურის კი გამოვიდოდა, კაცს რომელიც აბობბს დაბობბავთო, ჩვენ ვუპასუხოთ, ბურთი ძმურად უნდა ვეთამაშოთო.

ბურთი ისა უნდა ვეთამაშოთ, როგორც გაბარჯვებისთვის მებრძოლებს სჩვევიანთ!

ორივე შეხვედრაში მიზანი ერთია – ტრიუმფი!

სკორტული მოედანი და ბრძოლის ველი ერთმანეთში არასდროს აგვრავია, მაგრამ რაც გვინდა, ზუსტად ვიციით!

და, ღმერთმა ნუ ქნას, ვინმეს ბონებავი მეტოქესთან გარიგება მოუვიდას. ეს ბუნების კანონების წინააღმდეგ ლაშქრობა იქნება, რასაც ის არავის აკავშიებს!

რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი	მრჩეველთა საბჭო:
რედაქტორის მოადგილე სოლომონ გულისაშვილი	ვასტანგ ზზიკაძე, მამუკა გუბელაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ზურაბ ფოცხვერია
ტექნიკური რედაქტორი რუსუდან დარსაგველიძე	
სტილისტი ცისანა ნიკოლაიშვილი	
ოპერატორი ნინო ჟუფუნია	

რეკლამა უფრნალ «სარბიელი» – 93 16 08

14-15 გვერდი. ლუის ენრიკე (პარსელონა, ესპანეთი) REUTERS
 I რუსი ქობეგი REUTERS
 III ჰენრი კუმრაშვილი.
 გურანდა გურასაშვილის ფოტო
 IV ელდარ კურტანიძე. REUTERS

რეანიმაცია

ახალი რუსები ფეხბურთში

REUTERS



იგორ ანოვსკიმ და რუსეთის ნაკრებმა ირლანდიურ შლაგაბუმს გადააღაგეს

ვაჟა ხუსოვილი

თითქმის ყველაფერი კარგად აეწყო რუსეთის ნაკრებმა, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ვაგუში პირველობა გაირტყა. დასცეს ყოფინა ჩრდილოელეებმა, აქა-იქ მსოფლიოს ჩემპიონობაზეც კი დაიწყეს ლაპარაკი და დანარჩენ ღუნიას ეშუქებოდნენ.

ამ წლის თებერვალი დადგა და ოლეგ რომანცევის ნაკრებშიც წყალი ჩადგა. რუსებმა ირლანდიელებთან ამხანაგური მატჩი გაჩარხეს. ღუნდინში ვიამხანაგოთო, შეუ-

თვალეს კელტებმა, რაზეც თანხმობა მიიღეს. აი, იქ 13 თებერვალს დაითარსა რომანცევი. უხმო თავის ნიკოფოროვ-კარპინ-მოსტოვიან გუნდს და ღუნდინს ეწვია. მასპინძლებმა ოციოდ წუთში მიბნიდეს მეტოქე და ახალი წელი რუსებისათვის მარცხით დაიწყო. მამინ ირლანდიურ ამბავს ყურადღება დიდად არავენ მიაქცია. სეზონი ახლად დაწყებული ჰქონდათ, ბიჭები ფორმაში არ იყვნენ, კორეა-იაპონიამდე სამი თვე რჩებოდა... რა მოხდა, ერთი ამხანაგური მატჩის წაგებით ქვეყანა ხომ არ დაიქცევაო.

იარეს ჩვენმა მეზობლებმა და, თავისი გაანგარიშებით, ირლანდაზე სუსტი მეტოქე

გამონახეს — ესტონეთი. 27 მარტს რუსეთის ნაკრები ტალინში ჩავიდა. ოლეგ რომანცევი უეჭველ გამარჯვებას გეგმავდა, რათა სამსოფლიოს ჩემპიონატოდ პოზიციები გაემგებინა. არ გამოუვიდა ნომერი. ბალტიისპირელებმა მთელი ძველი წყენა ცხვირში ამოადინეს. მატჩი ბოლო წუთამდე ფრედ მიმდინარეობდა 1:1. ცხადია შედეგი უკეთესი იყო, ვიდრე ირლანდიასთან, მაგრამ ბოლოს უარესი გამოვიდა, რადგან შეხვედრის მიწურულს ნიგმატულინის შემცველმა ფილიმონოვმა გოლი გაუშვა.

ამ მარცხის შემდეგ ოლეგ რომანცევის შეუცაცხანეს. აშკარად გამოჩნდა — შესარჩევ ვაგუში ფარერებისა და ლუქსემბურგის დამმარცხებელ და გაპირველებულ გუნდს მთავარი ამოცანა — მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვება — შესრულებული ჰქონდა. მოტივაცია გაქრა. რუსთა ნაკრებმა დადმა დაშვება დაიწყო. ზედღიზიანებელი მარცხი, თუნდაც ამხანაგურ მატჩებში, ოლეგ რომანცევის სერიოზული კრიტიკის მიზეზად იქცა. მთავარი მწვრთნელის მოხსნამდე საქმე არ მისულა, რადგან წინ კორეა-იაპონია იყო. იქ უნდა დაემტკიცებინა რომანცევს, რომ მარცხი დროებითი იყო და მის გუნდს სულ ცოტა მეოთხედფინალამდე მისვლა შეეძლო.

მანამდე რუსები პარიზს ესტუმრნენ. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებისთვის ისინი „უხერხულ“ მეტოქეებად ითვლებიან. იქ იმდენი შეძლეს, რომ ნულოვანი ფრე გაახერხეს და კრიტიკოს-გულშემმატკივრებს გული მოუბრუნეს.

ეს 17 აპრილს მოხდა, ერთ თვეში კი მოსკოვში ტრადიციული LIG-ის თასის გათამაშება დაიწყო. რუსეთის ნაკრები პირველ მატჩში ბელორუსებს დაუპირისპირდა. ცხადია, მასპინძლები ტურირში გამარჯვებას გეგმავდნენ, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების წინ მათ ხასიათზე მოიყვანდა. ოლეგ რომანცევმა ამ შეხვედრაში გაბედა და ვითომ „შუეტკელთა“ ჰკურის სასწავლებლად ლეგიონერები შემადგენლობაში არ შეიყვანა. ბელორუსებთან არ უთამაშათ კოვტუნს, სმერტინს, კარპინს, ნიკოფოროვს, ონოპკოს, მოსტოვიისა და თეთი ბესნასტინისსაც კი. ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მწვრთნელმა რუსულ პრემიერლიგაში მოთამაშე ფეხბურთელები გაამწვსა. თეთრმა რუსებმა მოძმენი აშკარად დაჩაგრეს. მართალია — მატჩი ფრედ დასრულდა, მაგრამ ანგარიში მოედანზე მიმდინარე მოვლენებს არ ასახავს.



ვიქტორ ონოპკომ გამარჯვებასთან ერთად ბალახის გემოც კასინჯა

მომდევნო მატჩში მასპინძლებს იუგოსლავიელები ზღვებოდნენ. აქ უკვე რომანცევს ექსპერიმენტებისთვის აღარ სცხელოდა. მწვრთნელმა ძველ, საყვარელ გვარდიას უხშო. ვისაც ბელორუსებთან არ უთამაშია, ყველა თერთმეტეულში ჩასვა. ხუთ თვეში მეხუთე მატჩი და ისევ მოუგებელი. ის კი არა, კოვჩევიჩის გოლი შეცვლაზე შესულ სიჩვეს თამაშის მიწურულს რომ არ გაეთანაბრებინა, რომანცევს შავი დღე დაადგებოდა.

მოკლედ, LG-ის ოთხთა ტურნირზე მასპინძლები ბოლო ადგილზე დარჩნენ და განგაშის ზარების რეკავც მაშინ ატყდა. რუსთა ნამდვილი ძალა ამკარად გამოჩნდა. ასეთი გუნდით მსოფლიოს ჩემპიონატზე სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი სასაცილო იყო, სატირლად კი დრო აღარ ჰქონდათ.

რუსეთის ნაკრებმა აზიაში ჯგუფური ეტაპი ტუნისით დაიწყო. ვუყურებდი და არ მეგონა თუ სიცილისგან ცუდად არ გავხდებოდი, ტუნისელები ისეთ საგოლე მომენტებს აწუჭებდნენ, თითქოს შეგნებულად არ გაჰქონდათ. კოვტუნ-ნიკოფოროვს ფეხბურთის თამაშის ინტერესი დაუკარგეს. რუსთა მცველები უპატრონი ინდაურებივით დაეხეტებოდნენ, მაგრამ გოლი ნიგმატუ-

ლინის კარში არ გადიოდა. არც საპირისპირო კარში გავიდიოდა, 18 წლის დმიტრი სიჩევი რომ არა. მეორე ტაიმის დაწყებიდან ათ წუთში მან ბესნასტინი შეცვალა და ორი გოლი შექმნა.

რუსეთის ნაკრებმა იმარჯვა. როგორც შე-

მდეში აღმოჩნდა, ხუთ თვეში ჩატარებულ რვა მატჩიდან ეს რომანცევის ერთადერთი გამარჯვება იყო. ამას მოჰყვა მასპინძელ იაპონელებთან მარცხი და გადამწყვეტ მატჩში ბელგიელებთან წაგება. ერთი სიტყვით, 14 ივნისს შიზუოკაში რუსეთის ნაკრები-



ვლადიმერ ბესნასტინის სიხარული მსოფლიოს ჩემპიონატზე ხანმოკლე გამოდგა

რუსეთის ნაკრების ყველა მატჩი, 2002

13 თებერვალი. ამხანაგური დუბლინი. ირლანდია 2:0 რუსეთი

27 მარტი. ამხანაგური ტალინი. ესტონეთი 2:1 რუსეთი

17 აპრილი. ამხანაგური პარიზი. საფრანგეთი 0:0 რუსეთი

17 მაისი. მოსკოვი. LG-ის თასი. ნახევარფინალი რუსეთი 1:1 ბელორუსი (4:5პენ.)

19 მაისი. მოსკოვი. LG-ის თასი. მატჩი მესამე ადგილისთვის. რუსეთი 1:1 იუგოსლავია (ნ:პენ.)


5 ივნისი. კიოტო. მსოფლიო ჩემპიონატი რუსეთი 2:0 რუნისი

9 ივნისი. იოკოჰამა. მ.ჩ. იაპონია 1:0 რუსეთი

14 ივნისი. შიზუოკა. მ.ჩ. ბელგია 3:2 რუსეთი

21 აპრილი. ამხანაგური მოსკოვი. რუსეთი 1:1 შვედეთი

7 სექტემბერი. ავროპის ჩემპიონატის შესარჩავი რუსეთი 4:2 ირლანდია



დარდანელზე გაკატეხული კასის თავგადასავალი

**პურანდა პურასაშილი
ავტორის ფოტოგრაფია**

ამ წერილით ვიამბობთ თბილისელ ჰენრი კუპრაშვილზე, რომელმაც დარდანელის სრუტის გადაცურვით ვერობა და აზია ერთმანეთს დაუკავშირა. ეს მოხდა 30 აგვისტოს თურქეთში, ბატარა საპირტო ქალაქ ჩანაკალეში.

ეს ქალაქი ტროას ნანგრევებიდან სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ამ ლეგენდარულ ადგილიდან ბერი მითი და თქმულება დაკავშირებული. თავად სრუტის სახელიც მითური. იგი წარმოდგება ბერძნული ლეგენდიდან, რომლის მიხედვითაც ამ მიდამოებს მეფე დარდანოსმა თავისი სახელი დაანათლა.

ტროასა და დარდანელთან დაკავშირებული მეტად საინტერესო ლეგენდები, თქმულებები თუ ისტორიული ამბები თავისი საარაუკო გადაცურვით ჰენრი კუპრაშვილმაც გაამდიდრა.

როგორც ცნობილია, დარდანელი 120-კილომეტრიანი სრუტეა, რომელიც ერთი მხრივ ევროსისა და მარმარილოს ზღვებს აერთებს, მეორე მხრივ კი მცირე აზიასა და ბალკანეთს ერთმანეთისგან ყოფს. მისი მაქსიმალური სიგანე 18,5 კილომეტრია, ხოლო ყველაზე ვიწრო ადგილი — 1300 მეტრი.

დარდანელის სრუტე პირველად ინგლისელმა ლორდმა ჯორჯ კორდონ ბაირონმა გადაცურა.

მას შემდეგ დარდანელი

ცურვით არაერთმა ადამიანმა გადალახა, მაგრამ ეს ჰენრი კუპრაშვილივით ხელფენშეკრულს არავის უცდია. უცდია კი არა, აზრდაც არავის მოსვლია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, საქართველოს უშიშროების საბჭოს თანამშრომელმა, ოთხი შვილის მამამ, 56 წლის ჰენრი კუპრაშვილმა კი პირველივე ცდა წარმატებით დაავიზგვინა.

სხვათა შორის, ხელფენშეკრული ცურვის ელემენტები ამერიკის სპეციალური ქვედანაყოფების მეზღვაურთა მომზადების პროგრამაში შედის. ეს მეზღვაურები ოცნებობენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ელიტარული სამხედრო-საზღვაო ფლოტის მცვინთავები ანუ სუპერკომანდოსები გახდებიან, რომლებიც „ზღვის კატების“ სახელით არიან ცნობილი. თუმცა, ასეთ ქვედანაყოფში მოსახვედრად გამოცდის ჩაბარება ყველას არ შეუძლია. საქმე ისაა, რომ შემდეგი საფეხურის გადალახვამდე აუზში 10 წუთის განმავლობაში ხელფენშეკრული ყოფნა საჭირო (ზურგს უკან შეკრული ხელებით). მას შემდეგ რაც დრო ამოიწურება, თითოეულმა მათგანმა აუზის ფსკერზე დაგდებული სათვალე ტერფებით უნდა ამოიღოს.

ჰენრი კუპრაშვილი „ზღვის კატებზე“ გაცილებით შორს წა-

რბელსავით გაიჭრა წინ.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ყველას გასაკვირად, კუპრაშვილი ფინიშზე ჩვენზე მხნედ გამოიყურებოდა. ეს გაკოჭლი კაცი წყლიდანაც დაუხმარებლად ამოვიდა. თურქი ჟურნალისტის შეკითხვაზე, ცურვის დროს რაზე ფიქრობდიო, უპასუხა, „ლა-მანსის გადაცურვაზე“.

ასე რომ, ვერობაში, ევიაბათის ნავსადგურში აღებული სტარტი ჰენრი კუპრაშვილმა აზიასში, ჩანაკალეს გარეუბან ქვეუბანში, სადამდეც 12 კილომეტრი აღმოჩნდა, 3 საათსა და 15 წუთში დაასრულა. იქ თურქმა ჟურნალისტებმა იგი თურქული და ქართული დროშებით შემოსეს.

მეორე დღეს ამ ამბის ამსახველი კადრები თურქეთის ყველა ტელე-არხზე ტრიალებდა, გაზეთებში კი პირველ გვერდებზე დაიბეჭდა.

დღემდე ეს გაცურვა 1200-ზე მეტმა უცხოურმა ვაჭრმა თუ ტელევიზიამ გააშუქა. ინტერნეტგვერდი სავსეა წერილებით, რომლებშიც ბატონ ჰენრის ამ ძველი კოლხური სტილით ცურვის სახელმძღვანელოს სთხოვენ.






ირაკლი გოგბერაშვილი

რახან ჩვენთან რუსეთის ნაკრები ჩამოღის და ერთი ხმაურიანი თამაშიც უნდა გაიმართოს, არ იქნება, ამ ხმაურში ვაღერი გაზაევის ფიგურა არ გამოკრთეს. ნაკრების მთავარ მწვრთნელად ორიოლ თვის წინათ დანიშნული გაზაევი ის კაცია, ვისაც მთელი რუსეთი იმედით შესცქერის და არცთუ ტყუილად — თავის პირველსავე ოფიციალურ მატჩში გაზა-

ევის მიერ გადახალისებულმა რუსთა ნაკრებმა დააშამათა ჩვენი ჯგუფის ფავორიტი, გამობრძმედილი ირლანდია, 4:2. შედეგი შედეგად და, ისიც — რომ ირლანდიის ნაკრებს ბარე თხუთმეტი წელიწადი იქნებოდა, ოთხი გოლი არ გაეშვა. რუსები უფრო იმან გაახარა, რომ მათმა გუნდმა როგორც იქნა ითამაშა ლალი, ჯიგრიანი ფეხბურთი და ამ ფეხბურთმა გაიმარჯვა. პირველი თამაში პირველი თამაშია. გუნდისა და მწვრთნელის სავიზიტო ბარათი. თითქოს გაზაევის რუსეთმა გვითხრა: აი, ჩვენ ეს შეგვიძლიაო. ანუ შეგვიძლია ნამდვილი ფეხბურთი, უბრალო ბიჭებით გაბერილი ვარსკვლავების ნაცვლადო. მეორე მხრივ გაზაევის გუნდმა თავად მოიჭრა უკან დასახევი გზა და თავად გადო თამასა ისეთ სიმალღეზე რომლის დაბლაც კრიტიკა არ ასცდება. გაზაევი ასეთი კაცია. საქართველოში ბევრს ეხსოვება როგორი ფეხბურთელი იყო გაზაევი, რომელსაც უთამაშია ორჯონიძის „სპარტაკში“, მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და „დინამოში“, და თბილისის „დინამოშიც“. ის იყო მოკლეფეხება, სწრაფი და ტექნიკუ-

რი თავდამსხმელი, რომელიც ვერა და ვერ ამაღლდა ნაკრების სამოსამდე. გაზაევი კოლორიტული საკლუბო ფიგურა იყო ძველ დროში და გვარიანად ემოციური კაციც გახლდათ. შემდეგ მან სამწვრთნელო სკოლა დაამთავრა, წიგნი და სტატიები დაწერა და ვლადიკავკაზის გუნდს ჩაუდგა სათავეში. წლებადღამე მის მიერ გაწვრთნილი „ალანია“ ერთადერთი გუნდია, რომელმაც ჩემპიონობა წაართვა მოსკოვის „სპარტაკს“. თუ როგორი მწვრთნელია გაზაევი სამწვრთნელოში, ამის შესახებ არაერთ ქართველ ფეხბურთელს შეუძლია დაპარაკი. სწორედ მან გაავსო „ალანია“ ქართველი მოთამაშეებით. სამწვრთნელოს გარეთ კი, ასე ვთქვათ, იდეურად, აშკარად ჩანს, რომ გაზაევი გახლავთ ტრფიალი სამხრეთული ტექნიკისა, თავზე ხელაღებული შეტევისა და მაღალი ტემპისა. რომელ კლუბშიც კი უმუშავია, ყველგან მოუღვლე შეტევას მოითხოვდა. რუსის ექსპერტები სწორედ ამას უწუნებენ ნაკრების ახალ მწვრთნელს — შეტევა უყვარს, შეტევის ხაზის შექმნა ეხერხება და გამოსდის კიდევ, მაგრამ დაცვაში მისი გუნდები მოიკოტლებენო. გაზაევს

ვინ იყისხებს შამპანხს?..



მამუკა კვესელაშვილი

...ისინი არაერთხელ დამდგარან ერთმანეთის პირისპირ ხან ერთი დარჩენილა გახარებული, ხან მეორე. მოედანზე ორივე თითქმის მთავარი შემსრულებელი იყო. სულ მალე ისევ მეტოქეები იქნებიან, ოღონდ სტუმარი განსაკუთრებული ყურადღების არეში მოექცევა, მასპინძელი კი ოდნავ მოკრძალებულ ადგილს დაიკავებს. მალე საქართველო-რუსეთის მატჩია. ოთარ გაბელია და ვალერი გაზაევი კიდევ ერთხელ, უკვე თავისებურად შეეტოქებიან ერთმანეთს. მანამდე კი, მეოცე საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე მეტოქისა და მეგობრის შესახებ თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს. — ჩვენ მოედანზე ერთი მიზნისთვისაც გვიბრძოლია. ვალერი გაზაევი უშუალოდ და გულშია ბიჭი იყო. ოჯახებითაც ვმეგობრობდით. არ დამეცოფებდა, თბილისში სათამაშოდ გადმოსულმა რომ დამინახა, მაშინვე გამეხუმრა: „ლუქნიკე“ თასის ფინალში პენალტი რომ არ გავიტანე, ახლა

ერთი ბოთლი შამპანური მაინც იკისრეო. მაშინდელი ღუელი თვალწინ დამიდგა. შეიძლება ასეც ვთქვათ, შედარებით გამოუცდელი მეკარე ვიყავი. ჩემი ემოციურობის ამბავიც მთელმა ქვეყანამ იცოდა, მაგრამ გაზაევიც ჩემისთანა ფეთქებადი ხასიათისა იყო და ეს ვითარებას აწონასწორებდა. ჩვენებმა სერია დაასრულეს, ვალერის ბოლო დარტყმა უნდა შეესრუ-

ლებინა, ვიგებდით და ეს ფაქტორი უპირატესობას გვანიჭებდა. პენალტის ნიშნულზე ბურთს რომ ასწორებდა, ეტყობოდა, ძალიან ნერვიულობდა. იმასაც მივხვდი, რომ დარტყმა ძლიერი არ იქნებოდა. ალლოს მივეწვდეთ და თასიც თბილისში წამოვიღეთ. — მინდორზე მუდამ ჯიგრიანი იყო. ბოლომდე იხარჯებოდა. ტექნიკას ფიზიკურ

ვალერი გაზაევი (მარცხნივ) ტექნიკური ფორვარდი იყო



გაზაევს სსრკ ნაკრების შემადგენლობაში თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ უთამაშია, მაგრამ დიდ შეჯიბრებებში არასდროს



მამუკა კვესელაშვილი



მართლაც არ ეხერხება ეწ. მურე ნომრით თამაში მისი ნახევარმცველები უბურთოდ, თავიანთ ნახევარზე თამაშის დროს „იკარგებიან“.

რაც გაზავეს კრიზისულ მწვრთნელად აქცევს მისი რუსული კლუბების შეხვედრები ევროპულთან ბევრჯერ ასტრონომიული მარცხით დასრულებულა. რასაც მწვრთნელის არაერთი გადადგომა მოჰყოლია.

ნაკრების თავკაცად დანიშვნის შემდეგ გაზავემა გამოაქვეყნა „ნაკრების მწვრთნელის ათი პრინციპი“, სადაც ლაპარაკია ფსიქოლოგიურ კლიმატზე, თაობათა ცვლის უმტკივნეულოდ ჩატარებასა და ღირსებაზე. ცხადია, იქ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ გაზავეის გუნდი მთელ შესარჩევ ციკლს იერიშებში გაღვევს. საინტერესო კი სწორედ ეს არის. ჩვენ

ვნახეთ, რა შეუძლია გაზავეს შინ. ყოველ შემთხვევაში, რა შეძლო მან მოსკოვში. თავისთავად, გვინდა ვიცოდეთ რისი შეძლება მეტოქის მოედანზე, გასვლით თამაშებში. პირველი ასეთი გაზავეის რუსეთის თბილისში ელის. გაზავეი ძალიან კარგად იცნობს ქართულ ფეხბურთს. ის იმდენად კარგად იცნობს ჩვენებს, რომ ძალიან ბევრს იფიქრებს თავის ტაქტიკასა და შემადგენლობაზე. საეჭვოა, გაზავეი ჩვენთან თამაშს ისე მიუგდეს, როგორც ერთ, სუსტ, კრიზისულ მეტოქესთან შეხვედრას. თან, მას ეტყობა, რომ განზრახული აქვს ყოველი თამაშის ისე ჩატარება, როგორც უკანასკნელი და გადამწყვეტი.

ამ თამაშს ისედაც თან სდევს პოლიტიკურ-ისტორიული შლეიფი. ვნახოთ ერთი, რას მოიფიქრებს ყველაზე შემტევი და რუსი მწვრთნელი.



ვალერი გაზავეი ნოდარ ხიზანიშვილის წინააღმდეგ



REUTERS

სიძლიერეს უხამებდა და ზუსტი, „უხერხული“ დარტყმებითაც გამოირჩეოდა.

გაზავეს ეს თვისებები მწვრთნელობაშიც გადაჰყვა. მისი დაკომპლექტებული რუსეთის გუნდი წინამორბედისგან სისწრაფით, ბრძოლისუნარიანობით და დალაგებული თამაშით გამოირჩევა.

ფეხბურთელობისას ფორვარდი იყო და ახლაც შემტევი სტილის მიმდევარია. სამი მცველი ხაზზე, ხუთი მობილური შუახაზელი და ორი თავდამსხმელი — რა ხანია ვაკვირდები, გაზავეი ამ სათამაშო მოდელს ამუშავებს. ნაკრების დაკომპლექტებისას სწორედ ამ სქემისთვის საჭირო ფეხბურთელები შემოიკრიბა. გამოცდილ ლეგიონერებზე ერთბაშად უარს არ იტყვის, მაგრამ ყველა მათგანს აგრძნობინა, რომ დაუმსახურებლად არავის მიიწვევს. გაზავეს უფრო დიდი არჩევანი აქვს, ფეხბურთელებიც სხვადასხვა კლუბებიდან აიყვანა, რომანცევისგან განსხვავებით, ნაკრები ერთი გუნდის მოთამაშეების ირგვლივ არ შეუკრავს.

— ბოლოს თბილისში შეგხვდით ერთმანეთს. გაზავეი ჯერაც „ალანიაში“ მუშაობდა და ეროვნულ სტადიონზე ჩვენი ნაკრების ერთ-ერთ მატჩს დაესწრო.

რუსებთან უმძიმესი თამაში იქნება, გაბელას კიდევ ერთი „პირადი“ დუელი გაზავეთან. „მე მას დავენადლეკები, ვეტყვი, რომ თბილისიდან ამჯერად დაღონებული წავა. ვნახოთ, რა იქნება და ვინ იკისრებს შამპანურს.“

ფიასკო!



ლაც არ თამაშობდნენ უნაკლოდ. ნამდვირი გუნდი 8 სექტემბერს იქით გასრულდა იაკობ კუნის ბიჭებს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ საქართველოს ნაკრები გუნდი არ არის, ბოლო ათწლეულში არც ყოფილა და მსგავს პირობებში არც ოდესმე იქნება.

შვეიცარია როგორმე თავის საქმეს მიხედავს, ჩვენ ჩვენი წამხდარი გუნდის ამბავი ვიცითხოთ: რამ და ვინ მიიყვანა ნაკრები ფიასკოდმდე, შეიძლება თუ არა ვითარების გამოკეთება და რისი უნდა ეიმედებოდეს გულშემბატკივარს? კვირის მარცხმა საქართველო ძალიან კი გააბრაზა, მაგრამ ქომაგს წონასწორობა ჯერ არ დაუკარგავს. რუსეთთან წაგება კი აუტანელი იქნება. რა მოჰყვება ამას, არავინ იცის.

ბაზელში ჩვენი ეროვნული ნაკრები თითქოს ნაცადი ტაქტიკით წარდგა მეტოქის წინაშე. ბოლო შეხვედრებში ამოჩემებულია 3-5-2 სისტემამ არ გაამართლა. ასეთი განლაგებისთვის მწვერთნელ-ფეხბურთელები მზად არ აღმოჩნდნენ.

ჩვენს გუნდს რომ მეკარე აღარ ჰყავს, დიდი ხანია ცნობილია. ვისაც გნებავთ, იმას მორაგეთ პირველნომრიანი მისურა, სასწაული არ მოხდება — მეკარე თანაგუნდელთა ერთ შეცდომასაც ვერ გამოასწორებს.

მოულოდნელი იყო გიორგი ნემსაძის ცენტრალურ მცველად გამწესება. ნაკრების კაპიტანმა ბოლოს ამ პოზიციაზე ბუღაძეშტში უნგრეთის გუნდთან ითამაშა. მაშინაც 1:4 წაგავით. ნემსაძის უკან დაწევამ დაცვასაც ვერაფერი უშველა და ნახევარდაცვა გაამიშვლა.

აქამდე არაერთხელ დამტკიცებულა და კვირასაც ნათლად გამოჩნდა, რომ ედიკ საჯაია მთელი ფლანგის კონტროლს თავს ვერ აართმევს. ბაზელში სტუმრების მარჯვენა ფრთა ერთ-ერთი უსუსტესი იყო. სიმართლე ბოლომდე ვთქვათ და თავი მაინც დადამინც არც მარცხენაფლანგელ ლევან კობიაშვილს გამოუდგია.

REUTERS



შვეიცარიამ საქართველო პერში გამოკიდა

გაგუჟა კვანცალიანი

...კპიმროსის გუნდი საფრანგეთისას უგებდა, ლატვიამ შვედეთს თავი არ დააჩაგვრინა, სომხებმა უკრაინას ორბურთიანი უპირატესობა გაუნიავეს, ფარერებმა შოტლანდია ფრეს დააჯერეს, ლიხტენშტაინმა მაკედონიასთან ქულა მოიპოვა, ხოლო ხორვატების ყველა ძალისხმევა ესტონელთა თავგანწირვას შეემახვრა. 7 სექტემბერს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი დაიწყო.

იმ ევროპულ მარაქაში საქართველოც არია. კვირა სადამოს გულშემბატკივარი კიდევ ერთი იმედით მიუჯდა ტელევიზორს.

90 წუთის შემდეგ დარჩა მხოლოდ შეღახული თავმოყვარეობა და შიშველი სიმართლე — საქართველოს ნაკრები არ ჰყავს. დღეს არავინ თამაშობს ასე დაულაგებლად, ერთფეროვნად და ნელი ტემპით.

ბოლო წლებში შვეიცარიასაც დაუძვირდა სიხარული, ამიტომ ჩვენი გუნდის უსიტყვო კაპიტულაციამ მასპინძლები აღაფრთოვანა. „ჩვენ ქართველები გავსრისეთ. ეს გამარჯვება მწვერთნელ-ფეხბურთელებმა და ქომაგებმა ერთად მოვიპოვეთ. გმადლობთ, ბიჭებო“. — გახეთი „ბლიკი“ ნამატჩევეს სიხარულად იღვრებოდა.

შვეიცარია ერთმა გამარჯვებამ გაახარა, ჩვენ კი სასახელო დამარცხებაც გვენატრება. არადა, ბაზელში მასპინძლები სუ-

იბედ!

REUTERS



საყრდენად ცქიტიშვილი და ჯამარაული თამაშობდნენ, მაგრამ მათი ამოტანილი ბურთიც არავის უნახავს და არც შეტევა წამოუწყიათ.

ქინქლაძე პირველ ტაიმში ერთხელ დავლანდეთ, უბურთოდ დარჩენილი ფორვარდები კი მასპინძელ მცველებში ჩაკარგულიყვნენ. ისიც გაუგებარია, რატომ იყვნენ ბდნენ ქართველები ასე ხშირად მაღალ გადაცემებს, თან უპირატესად ტანმორჩილი დემეტრაძის მამართულებით.

ნუ დაგვაკვირვდება ნაკრების თანდაყოლილი შიშიც. ჩვენს გუნდს ხომ პრინციპული თამაში არასდროს მოუვია. შოთა არველაძემ ჩინებული თავურით ანგარიშიში გაათანაბრა და ამან ისედაც არეული გუნდი მთლად დააბნია. მას გამარჯვების შეეშინდა არადა, იმ წუთებში ეს მწელი არ იყო.

...დაპკრა ფრემი თავური, იაკინმა ლახათიანად ამოსცხო ბურთს, ისევ მიულერის თავური და წერტილი ყველაფერს მრავლისმნახველმა შაპუიზამ დაუსვა. ოთხი ზუსტი დარტყმა და ოთხი გოლი! არაფერს ვამბობთ მასპინძლების გაცულებულ მომენტებზე.

ვფიქრობ და ვერაფრით მივხვდებარ, რა კრიტერიუმით არჩევნენ ნაკრების მწვრთნელები ეროვნული გუნდისთვის ფეხბურთელებს. ჭკუადამჯდარმა კაცმა როგორ უნდა ინდომო მოედანზე ისეთი მოთამაშის გამოყვანა, რომელიც თავისი გუნდის ფარმკლუბშიც არ ბურთაობს. მიუღი ფლანგი რატომ უნდა ჩააბარო ფეხბურთელს, ვისაც საკლებო დონეზე მოედანზე სამი წუთით ყოფნა სანატრელია გახდომია. ისეთი ფეხბურთელი გაგიმწესებია შუა ხაზში, ფაქტობრივად წლობით რომ არ უთამაშა, შეცვლაზე კი ჯერაც ტრავმამოუშუშებელი კაცი შემოგყავს, ჯიგრიანი, მებრძოლი და ისევ შესაცვლელად განწირული.

მეკარე თავის კლუბში სათადარიგოა, მცველ-ნახევარმცველს რა ხანია თამაში ენატრებათ, ზოგი ტრავმირებულია და ზოგიც ფეხბურთისთვის ნაადრევად გაბერწებული — ამის მერე მიდიხარ შვეიცარიაში და ევროპის ჩემპიონატზე წარმატებული დებიუტის ვეიმედება?

ხომ ცხადია, რომ ნაკრების თავკაცობის ყოველი სიტყვა გულშემატკივრების თვალის ასახვევად იყო ნათქვამი. სინამდვილეში ბაზელს მხოლოდ ღვთის იმედით ეწვია ჩივადის გუნდი, რომელიც მეტოქემ თამაშის დაწყებიდან რამდენიმე წუთში „წაიკითხა“.

რატომ ეძახის ალექსანდრე ჩივადე ეროვნულ გუნდში უკვე „ჩამოსაწერ“ და პენსიონერ ფეხბურთელს? თვითონ დაუდლებურებული და რეუმიდან ამოვარდნილი მოთამაშეები რად მოდიან ნაკრებში? ამ კითხვებზე პასუხი წარუმატებლობის ნამდვილ მიზეზებამდე მიგვიყვანდა, მაგრამ აღსარებას ნუ დაელოდებით, მსგავსი რამ ამ მწვრთნელებისთვის, ამ თაობისთვის უცხოა.

მწვრთნელს რომ ჰკითხოთ, გამოცდილებას ენდობა. ხომ გაგიგონიათ, ბებერი ხარისა რქებიც ხნავენო, — ჩივადის

სიტყვებია. კი, ბატონო, დავეთანხმებით, მაგრამ „ჩვენებური ხარებისა“ მოხუცი რომ დიდი ხანია არსად გვინახავს, ამას სად გავექცევით?

სირცხვილი, ერთი, ორი, სამი... ეს ხომ ანტირეკლამაა. ვინ იყიდის იმ გუნდის მოთამაშეს, რომელიც წლიდან წლამდე დამარცხებულია? ან ამდენი წაგება ნუთუ თავადაც არ მობეზრდათ, ნუთუ მათთვის მთავარი ნაკრების მუდმივი წევრის სახელია და წააგე-მოიგეს დიდი მნიშვნელობა არც ენიჭება?

ვეკვობ, 12 ოქტომბრამდე ფეხბურთის ფედერაციამ რამე შეცვალოს. ასეთ ვითარებაში რუსეთიც, რა თქმა უნდა, მოგვიგებს. კატასტროფაც ამის შემდეგ დაიწყება და მომდევნო შესარჩევი ეტაპიც სატირალი გახდება.

გამოსავალი კი ერთია: ნაკრებში ალექსანდრე ჩივადის ძალისდალად დანიშნვისთვის, პირველ ყოვლისა ფედერაციამ ავოს პასუხი. მერე თავად ნაკრების თავკაცს მოეკითხოს, რად დაარღვიეს ნათურქეთალს დადებული პირობა და ბოლოს ფეხბურთელებიც დაეანამუსითო, — ვუთხრათ, მივანჯვდროთ, რომ ზოგიერთებს წასვლის დრო დაუდგა.

ავროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი
ბაზელი. სანტ იაკობ პარკი.
20 500 მაყურებელი. 8 სექტემბერი.
შვეიცარია 4:1 საქართველო

1:0 ფრეი (36), 1:1 არველაძე (62), 2:1 პ. იაკინი (63), 3:1 მიულერი (74), 4:1 შაპუიზა (82)
შვეიცარია: შტილი, მანინი, შაასი (ბერნერი 83), ანშო, მ. იაკინი, ფოგელი (სელესტინი 69), კაბანასი, მიულერი, შაპუიზა, პ. იაკინი (ვიკი 74), ფრეი
საქართველო: იაკობ კუნი
სამხარბელო: გვარამაძე, კობიაშვილი, შეყილაძე, კალაძე, საჯავია (რეზიაშვილი 46; ყაყვლაშვილი 85), ცქიტიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, დემეტრაძე, ქინქლაძე (ბურდული 46), შ. არველაძე
შვეიცარია: ალექსანდრე ჩივადე
გაწმინდვები: შეყილაძე (34), კალაძე (35), კობიაშვილი (66), რეზიაშვილი (71), მანინი (80)
მსაჯი: პრონაჯი (სლოვაკეთი)

„დინამო“ ჩეხეთში წააგო, მაგრამ ეს არ ჰგავდა იმ დამარცხებას, ქართულმა კლუბებმა ბოლო დროს რომ მიგაჩვიეს. ლიბერეცში, „იუნისის“ სტადიონზე შეკრებილ მცირერიცხოვან ქართველებს 19 აგვისტოს ამაყად ეჭირა თავი. ჩვენებურმა კლუბმა შეინახა სახელი და თავმოყვარეობა. უეფას თასის გათამაშების მომდევნო ეტაპზე შეიძლება „ლიბერეცი“ გავიდეს, მაგრამ მაშინ ვიტყვი, რომ ძალამ აღმართი მოხნა. შანსს კი მომავალ წელიწადს დაველოდებით.

რვათიანი მოღვაწეობის შემდეგ ხორვატმა ივო შუშაკმა დინამოელთა თამაშში თანამედროვე საფეხბურთო ტაქტიკის ელემენტები შეიტანა. გუნდმა მოძრაობა დაიწყო, ბრძოლას ეჩვენა. უფრო მეტისთვის კი გაცილებით დიდი დრო და ოფლის ღერაა საჭირო.

ჩეხები 90 წუთის მანძილზე ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ. გნსხვაება კლასშიც თვალნათელი იყო. მასპინძელთა სამ გოლს კი ქართველებმა ორით უპასუხეს. ამთვან პირველი, დარასელიას გატანილი გასაცარი სილაამზის გამოვდა.

ბოლომდე საიმედოდ ჯერაც ვერ თამაშობს მეკარე გვარამაძე, პრობლემებია დაცვასა და ნახევარდაცვაში. შუშაკმა ლიბერეცში ფაქტობრივად უთავდამხმელოდ ათამაშა „დინამო“ და ჩვენებმა ორი გოლის გატანა მაინც მოახერხეს.

„თავიდან ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ შესვენებისას ბიჭები დავარწმუნე, რომ გოლის გატანა შეეძლოთ“ — შუშაკი „ლიბერეცს“ არ უფრთხობდა, მან მოახერხა, შეგირდებისთვის ფსიქოლოგი-

ური ტვირთი მოეხსნა. „დინამოს“ თამაში ორთაბრძოლის დაწყებამდე არ წაუვია. ივო შუშაკის და მისი ბიჭების მთავარ დამსახურებად სწორედ ეს შეიძლება მივიჩნიოთ.

არც ის არის გამორიცხული, „დინამომ“ მეტოქე უეფას თასის გათამაშებას გამოთიშოს. ეს არ იქნება ადგილი, თბილისში ჯოჯოხეთური 90 წუთია გადასაგორებელი. თუ შუშაკის ბიჭებმა მართლაც ივარგეს, მაშინ...

უეფას თასი 2002-2003
პირველი ეტაპი. პირველი მატჩი.
ლიბერეცი. «იუნისი».
5 100 მაყურებელი. 19 აგვისტო.
ლიბერეცი 3:2 დინამო

1:0 ნემზარი (19), 2:0 ზობონია (26), 2:1 დარასელია (48), 3:1 გიანი (60), 3:2 ანაბაძე (67)
ლიბერეცი: კონსკი, ჩაბეკი, პოლენაკი, იოჰანა, იანუ, პილნი, პოლფერი, პოლაკი, ზობონიაკი, ნემზარი, სლუბიჩკა (გიანი 57)
შვეიცარია: ლადისლავ შკორილი
დინამო: გვარამაძე, კარლოსი, შაშიაშვილი, ვაშაკიძე, კანდელაკი, ამისულაშვილი, სახვაძე (კვიციანი 84), გოგობერიშვილი, ანაბაძე, ბურდული, დარასელია
შვეიცარია: ივო შუშაკი
გაწმინდვები: ნემზარი (85)
მსაჯი: კ. კოსტადინოვი (ბულგარეთი)

პაი, უენს ბაიერს!

გიორგი დარჯანი



მოდით, სადღე-გრძელოსავით შესაჯავალს — რომ ნანატრი ჩემპიონთა ლიგა კვლავ დაბრუნდა, ევროპაში დიადი ფეხბურთი გაჩაღდა და გაუმარჯოს ლიგას — თავი ავარიდოთ და პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ ანუ პირველ და მეორე ტურებში მომხდარი ამბები გავარჩიოთ.

უპირველესად თვალში საცემია, გერმანული კლუბების ჩაყარნა. ამ ქვეყნის სამმა

გუნდმა — „ბაიერნმა“, „ლევერკუზენმა“ და „დორტმუნდმა“ — ექვსი მატჩიდან ოდენ ერთი მოიგო. ძნელი დასაჯერებელია, რომ ბოლომდე ასე გაგრძელდეს, თუმცა „ლევერკუზენს“ კი ალბათ მაინც მოუხდება ლიგის შემოდგომაზევე დატოვება. პატარა კლუბებისთვის დამახასიათებელი რამ შეემთხვა: წარმატებული სეზონის მერე სუკეთესობეი გაყიდა და ფულით, მაგრამ უკარსკვლავებოდ დარჩა.

ეს ჩვეულებრივი ამბავია, აი, „ბაიერნმა“ კი „დებორტივოსთან“ საშინაო მარცხით და ლიონური ფრთი ხალხის გაოცება და ფრანც ბეკენბაუერის რისხვა მოიქო. პრეზიდენტი დაიშუქრა, „მილანისაც“ თუ ვერ მოუგებთ

ბარე ორს მოუწევს გულანაბადის აკვრაო. ზუმრობაა? ეს იმ „მილანზე“ ლაპარაკი, მიწასთან რომ გაასწორა თავმოყვარე „დებორტივო“. და რაკი „მილანი“ ვახსენეთ, არ იქნება, კახა კალაძე არ შევაქოთ, ვინაც პირველ ტურში, „ლიონთან“, საგოლე პასი ჩააწოდა ფილიპო ინმაგის და ლა კორუნიაშიც ფრიალ გამოირჩა.

მაგრამ მიუხედავად „მილანის“ ბრწყინვალეებისა, ბრიტანელი ბუქმიკერები მის ფავორიტად მოხსენიებას არ ჩქარობენ და საჩემპიონო შანსს ჯერჯერობით ერთი ათთან უფასებენ.

პროგნოზებში კი ტრადიციულად ლიდერობს „რეალი“, რომელმაც წინა სეზონის

ვალენსია — ლევერპული. მასპინძლები მეტოქის კარში გატანილ ბურთს ბოლომდე მიჰყვენ



REUTERS

პირველი ტურის მსგავსად ახლაც დაამარცხა „რომა“, ხოლო „გენკი“ ერთ ლუკმად გადაყვალა.

კითხვა: ქუთაისის „ტორპედოს“ ლიგაში რომ შეედგინა, „გენკის“ ადგილას ანუ „რეალის“ ჯგუფში იქნებოდა. პოლა, რამდენ გოლს გაუშვებდნენ ტორპედოელები „სანტიაგო ბერნაბეუზე“, თუ „გენკმა“ ექვსი გაუშვა?

შეგიძლიათ არ უპასუხოთ — „ტორპედო“ ლიგაში არ არის, ესე იგი, სწორი პასუხიც არ არსებობს. სამაგიეროდ სხვა კითხვას აქვს პასუხი. კერძოდ, „სპარტაკის“ ბაზელში წაგების შემდეგ რუსულმა „სპორტ-ექსპრესმა“ თავის საინტერნეტო გვერდზე ინტერაქტიული გამოკითხვა მოაწყო: რამდენ გოლს გაუშვებს „სპარტაკი“ „ვალენსიასთან“? კითხვის ფორმულირიბიდან ჩანს, თუ როგორი იმედიც ჰქონდათ რუსებს თავისი სათაყვანო „სახალხო გუნდისა“. დავამატოთ, პასუხია — სამი.

ზემოთ „რომა“ ვახსენეთ, მაგრამ საჭირობოლოტო კითხვა-პასუხმა ვაგვიტაცა და კაპელოს გუნდს ახლა მივუბრუნდეთ:

„რეალითან“ წაგება რომაელებს დაბედებული აქვთ, მაგრამ სერია A-ში „მოდენასთან“ რომ წააგეს, ფანობამ განგაშის ზარი შემოკრა. უფრო სწორად კი, ხელები დაიკაპიწა და ფეხბურთელების გასამართლებას შეუდგა. პირველი მსხვერპლი ძებინა შეიქნა, რომელსაც ჭკუა არ ეყო და გააკვებულ ქომაგთა შორის მანქანით გავლა მოინდომა: ძებინას ახალი მანქანა აქვს საყიდელი. სხვებმა გონიერება გამოიჩინეს და უჩუმრად გაიპარნენ. ამის მერე დაფეთებული რომაელები საბერძნეთში ჩავიდნენ და აქედან ფრესლა გამოჩნდნენ.

თუმცა სხვა იტალიური კლუბები, წინა წლებისგან განსხვავებით, ძალიან კარგად თამაშობენ, ხოლო იუვენტუსელმა ალესანდრო დელ პიერომ და მილანელმა ფილიპო ინძაგიმ ზოგადიტალიურ რეკორდებსაც გამოჰკრეს ხელი. კიევის „დინამოსთვის“ გატანილი გოლი დელ პიეროსთვის 25-ე სალიგო გამოდგა, რითაც გადაუსწრო 24-გოლიან ხოსე ალტაფინის. ინძაგიმ კი ლაკორუნიული ჰეთ თრიკით თავისი ევროთასული მონაგარი 40 გოლამდე გაზარდა და აჯობა ალესანდრო ალტობელის. ისე, ინძაგის დელ პიეროს გადასწრებაც შეუძლია, რაკი სალიგო გოლებში ერთითლა ჩამორჩება.

მეტი რა... „ნიუკასლის“ ბოზი ბობი რობსონი სიბერეში გამოქართველმწვრთნელდა, რადგან პირველი ორი თამაში წააგო და მიზეზად მალიმალ ახსენებს პირველი გოლის ფაქტორს. „მანჩესტერს“, „არსენალს“, „ვალენსიას“ და „ბარსელონას“ საწუწუნო ჯერ არაფერი აქვთ, ხოლო ლიგაში პირველმა ებრაულმა გუნდმა ჰაიფას „მაკაბიმ“ პირველი სალიგო გამარჯვებაც იხეიმა.



რომა — რეალი. მადრიდელმა რობერტო კარლოსმა დამიანო ტომაზის ფეხი ააფარა



დებორტევიო — მილანი. რივალდომ ყოფილი თანაგუნდელების გაბითურება არ იუკადრისა

იუვენტუსი — დინამო. ალესანდრო დელ პიერომ (შუაში) ლიგურ-იტალიური რეკორდი დაამყარა



REUTERS

REUTERS

ქვიშის გენერლების ახალი კაპიტანი

ზაქო სვანიძე

ზომბა თქვა, წითელი ოქტომბერიო, ზოგმაც შავიო, ზოგმა კიდეც რა და ზოგმა რა. ერთი კი ცხადია: 12-13 ოქტომბერს თბილისში ძალიან „დაცხება“.

როგორია, შაბათს საქართველო-რუსეთის ფეხბურთელთა შეხვედრა, ხოლო კვირას ასევე საქართველო-რუსეთის სარაგბო მატჩი! თანაც, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დღე არ გავა, რუსეთი დაბომბვით და გაზის შეწყვეტა-გამოშვებით არ გვემუქრებოდეს, ალბათ გასაკებია რა ამბები დატრიალდება სტადიონზე.

კარგა ხანია რუსეთსა და საქართველოს გუნდების შეხვედრას მხოლოდ ფეხბურთს ან რაგბის ვერ დავარქმევთ. ეს უფრო მეტია, ვიდრე სპორტი, ემოციები ან, გნებავთ სანახაობა.

28 სექტემბერს საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირი დაიწყო. სამეუნდა ჯგუფიდან (საქართველო, ირლანდია, რუსეთი) ავსტრალიაში პირდაპირ მოხვდება ორი უკეთესი ნაკრები, აუტსაიდერი კი „რეგემაიდიან“ (სანუგეშო ტურნირი) შეეცდება მსოფლიოს თასზე გასვლას. ეჭვი არაა, ერთი საგზური ბობოლა ირლანდიას უკვე ჯიბეში უდევს, აი მეორისთვის კი...

ჯგუფური ეტაპი უკვე დაიწყო. 21 სექტემბერს ირლანდიამ რუსეთი კრასნოიარსკში გაანადგურა — 35:3 და პირველი 2 ქულა მოიპოვა. ახლა, როცა ამ სტრატეგიებს კითხულობთ, ირლანდია — საქართველოს მატჩი (28 სექტემბერი) უკვე გამართული იქნება და შედეგაც გეცოდინებათ.

ჯგუფის მთავარი მატჩი 13 ოქტომბერს თბილისშია დანიშნული. ბორჯღალოსნები რუსულ დათვებს დაუხვდებიან და სწორედ აქ გაირკვევა, ჯგუფის მეორე უკეთესი გუნდი.

ძნელი სათქმელია, ცუდია თუ კარგი, რუსები რომ ჩვენი თანაჯგუფელები არიან. მათი რაგბის კავშირის პრეზიდენტი იური ნიკოლაევი ფრთხილობს და მატჩზე ლაპარაკს თავს არიდებს. სამაგიეროდ მან პოლიტიკური ნიჭი გამოავლინა და ეს თქვა: ირლანდიასთან ჩვენების თამაშმა ოპტიმიზმი ჩამისახა, იმედია, თბილისში გავიმარჯვებთ. 13 ოქტომბერს კარგი სანახაობა გველის, ცხადია, თუ საქართველოს პრეზიდენტმა ელვარდ შევარდნაძემ იმ პრობლემას მიხედა, რომელიც არა მარტო ჩვენ და ქართველებს, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეობას ემუქრებაო (!).

ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ რუსეთის რაგბის კავშირი თვისტომ საფეხბურთო ორგანიზაციას მიჰყავს?

ციას მიჰყავს და თბილისში ჩამოსვლაზე უარს იტყვის? თუ ასეა, მაშინ ბატონმა ნიკოლაევმა ოფიციალური წერილით უნდა მიმართოს რაგბის საერთაშორისო საბჭოს, რაც ჯერ არ გაუკეთებია. თუ ასე მოქცევა, საეჭვოა, მსოფლიოს რაგბის მამებმა მატჩი სხვა ადგილას გადაიტანონ.

ჯერ კიდევ გაზაფხულზე, საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა საამატრო მზადების გეგმა მაგიდაზე დაუდო რაგბის კავშირის პრეზიდენტს ბიძინა ვევიძეს — მიიღებთ თუ არაო?

უარს ვინ ეტყოდა და სორელსაც მოქმედების ფართო ასპარეზი მიეცა. პირველი, რაც ბატონმა კლოდმა გააკეთა, თანამშრომელ და უკანახაზელების

მწვრთნელად ბეზიელი მეგობრის პატრიკ ფორის დანიშვნა იყო, მერე კი ნაკრების 35-კაციანი შემადგენლობა ბათუმში და აჭარის მაღალმთიან რეგიონში წაასხა ათდიან შეკრებაზე ნაკრების კურატორი ვია ჭუმბურიძე ამბობდა, ასეთი შეკრება ბორჯღალოსნისათვის ისტორიას არ ახსოვსო. თურმე ჯერ სად ყოფილხარ!

ბათუმთან ნაკრები საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც ლაროშელის მუხნარში გამალა ანტირუსული ბანაკი. სუფთა ჰაერი, მოედნები, ტრენაჟორები, სიმულატორები და სპარინგ-მატჩები. მეტი რა უნდოდა გუნდს, რომელიც ერთი კონკრეტული მატჩისთვის ემზადება. სამწუხაროდ, სწორედ აქ დაიბრუნა სორელისა და ნაკრების კაპიტნის ლევან ცაბაძის იდეალია. ბორჯღალოსნთა კაპიტანი შეკრებაზე არ ჩავიდა. თვითონ ამბობდა, მიწვევა არ მომსვლიდა. სორელმა არ დაიჯერა და მათ შორის უსიამოვნო სატელეფონო საუბარიც გაიმართა. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ მუსიე კლოდმა „ელენსიო“ დასაჯა: დუბლინში გაფრენის წინ ცაბაძე კაპიტანი აღარ იყო. ნაკრებს ამიერიდან ვიქტორ დიდებულის უკაპიტნებს.

მსგავსი რამ ოთხი წლის წინათაც მოხდა. 1999 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირში ირლანდია - საქართველოს მატჩის წინ კაპიტნობა ჩამოართვეს გილიათ ვია რაფაევას, რამაც გუნდში გვარიანად არაა ვითარება. შედეგად საქართველომ ის მატჩი 0:70 წააგო, მერე კი რუმინეთთან 23:27 დამარცხდა და მსოფლიო თასის გათამაშებაზე ვერ მოხვდა.

იმედია, სორელს ახსოვს მაშინდელი ამბავი და შედეგები. სამწუხარო ისაა, რომ ფრანგმა ვერ ან არ აპატიო ცაბაძეს და ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში სარისკო გადაწყვეტილება მიიღო.

სორელმა გუნდი ლა რომელიდან სახლში წაიყვანა. ცხადია, ყველას თავის საცხოვრებელში ვერ დააბინავებდა, უბრალოდ, მშობლიურ ბეზიეში ჩაიყვანა და ტრავიკულად დაღუ-

ნაკრების ახალი კაპიტანი: ვიქტორ დიდებულის




ორაშვილი



კლდე სორელმა ლევან ცაბაძეს შეკრებაზე ჩაუსვლელობა არ აპატია

პული მორაგბის ფრანსუა ვაკერენის ხსოვნის ტურნირში ათამაშა. ოთხთა ტურნირი იყო და ჩვენს გარდა ფრანგული ლიგის სამი ბოლოლა მონაწილეობდა: „ბეზიე“, „კოლომიე“ და „მონტოშინი“. ბორჯღალოსნებმა სამივე მატჩი წააგეს, მაგრამ აქ მთავარი შედეგი კი არა, ტაქტიკური მონახაზებისა და ახალი კომბინაციების დამუშავება გახლდათ. თანაც სორელმა ბევრი ახალბედა გამოსცადა, ზოგი მათგანი საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაშიც თამაშობს. უკანასაზღვლა კახა ალანიაძე თქვა, პატრიკ ფორიმ ბევრი რამ გვასწავლა და მისი დარიგებით ძალიან ლამაზი ლელოები გავიტანეთო. ფორი ვახსენეთ და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ მას შეიძლება რაღები ხელდახელ ოსტატურად თამაშის მთავარ კატალიზატორად მიანიხნა. ფორის დამოძღვრებამ ჩვენმა შევიდულმა დრო გამონახა და ჰაიდელბერგში ევროპის საშეიდაცო ჩემპიონატზეც ითამაშა. ჩვენებმა ფინალი წააგეს პორტუგალიისთან და საფრანგეთში გაბრუნდნენ, სადაც შეკრების მორიგი ეტაპი იწყებოდა. ბეზიესა და ლა როშელში შეკრებების შუალედში ბორჯღალოსნებმა ეგზოტიკური პლაჟის რაგბისაც გაუგეს გემო. ეს არის თამაში ოთხი ოთხზე და მარტო ლელოები ითვლება. ქართველებმა რაგბის

უცხო სახეობას მალე აუღეს ალღო და ფინალში კოლდიუვარელი ოთხეულის ძლევით „ქვიშის გენერლების“ სახელიც დაირქვეს. მათგანა სექტემბერმაც და ნაკრების წევრებმა თავიანთ კლუბებს მიაშურეს. სორელმა ვერ მოისვენა, საქართველოში მოთამაშე და უკლებოდ მყოფი მორაგბეები მონაკლებში შეკრება და ფიზიოპედაგოგების მწვრთნელს ტიერი რუდილს ჩააბარა. ახლა ნაკრების გაფართოებული 40-კაციანი შემადგენლობა ისევ საფრანგეთშია და რუსეთისთვის მზადების ბოლოსწინა ეტაპს გადის. ასეთია სორელის სურვილი და თუ ვინმე ვერ შეეგუება... რუსეთთან მატჩის წინ ბორჯღალოსნები ქალაქგარეთ, სავარაუდოდ მცხეთაში დაბინავდებიან და სიმფუდროვეში ივარჯიშებენ. ნაკრების წევრები იმედინად არიან და გამარჯვებისა სჯერათ. ბორჯღალოსანთა ამ თაობის უმეტესობისთვის ეს მსოფლიოს თასზე თამაშის ბოლო მანიაა. ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ლევან ცაბაძის, მეკლდე მთიულიშვილის, ვანო ნადირაძის და ვიქტორ დიდებულაძის ნიჭისა და თავდადების პატრონი მორაგბეები კარიერას ისე დაამთავრებენ, რომ სანაკრებო დიდ წარმატებას ვერ მოიპოვებენ. მსოფლიოში კი ახლოვდება.



ლევან ცაბაძემ (უკანა პლანზე) კაპიტნის სამკლავური ვიქტორ დიდებულაძეს დაუთმო

ქართველებს აუტეხში ვია ლაბაძის იმედი აქვთ



ორაშვილი

ლუის ენრიკე

მრეწველი
გიგანტობა

ესპანეთი, ბარსელონა



პეი, ჯონ, რა ხდება ინდიანაპოლისში?

ქაჩილქა: ეზოს ტიფები!

სოლომონ გულისაშვილი ინდიანაპოლისიდან



ამერიკელები რომ ინგლისელები ყოფილიყვნენ, უთუოდ ლოზუნგად აიტაცებდნენ, კალათბურთი შინ დაბრუნდაო, მაგრამ ამერიკელები ინგლისელები არ არიან და დამოკიდებულებაც ყველაფრისადმი თავისებური აქვთ. დიას, კალათბურთის სამშობლოში პირველად გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომლის ამბავი თვით ინდიანაპოლისის მოსახლეობასაც არ გაუგია.

ნიუ-იორკის „კენედის“ აეროპორტში ჩასულმა მებაჟე ყმაწვილს ვკითხე, ჩემპიონატი როგორ მოგწონს-მეთქი. ეს შავ-შავი ბიჭი ისეთი იერისა ჩანდა, მეგონა, გუდას პირს მოხსნიდა და ვეებ საინტერესოც ბევრი რამ ეთქვა, მან კი მხრები გაკვირვებით აიჩნა და, თავად რომ ვერაფერი მიპასუხა, თანამშრომელს გადასძახა. ხომ არ იცი ინდიანაპოლისში რა ხდებაო. როცა ვერც იმან დააკვლიანა, თავის საქმეს მიუბრუნდა.

აი, ასეთი განწყობა იყო ჩემპიონატისადმი ამერიკის შერეობულ შტატებში. მერე ეზოებში მობურთოლ ბიჭუნებთანაც ვცალე გასაუბრება, მაგრამ უმრავლესობამ თითქმის არაფერი იცოდა. არადა, ამ ქვეყანაში კალათბურთი გაგიჟებით უყვართ. საოცარია, თითქმის ყველა ეზოში დაინახავთ კალათბურთის ფარს. პატარები შებინდებამდე გატაცებით თამაშობენ და ზოგჯერ ისეთი ილუბებიც გამოივლიან, მაგანს შემურდობა კიდევ: თუმცა მათთვის მთავარი ნა გახლავთ, ისინი ამ შეჯიბრებით ცხოვრობენ და სხვა ბევრი არც არაფერი აინტერესებს.

ეზოები ვახსენეთ და უმრავლესობაში ამერიკის ნაირგვარ

დროშებსაც მოპკრავთ თვალს. დროშებია მანქანებზე, ქუჩებში და პარკებში. მოკლედ, 11 სექტემბრის წლისთავზე აქ დაახლოებით ისეთი ვითარებაა, ჩვენთან 9 აპრილის შემდეგ რომ იყო. დღეს ამერიკა პატრიოტული „მოტივით“ ცხოვრობს. უსაფრთხოების ზომები კი მართლაც საგანგებო მიუღიათ. სანამ ჩამოხვალ, აეროპორტებში იმდენჯერ გაგჩხრეკენ, რომ... დაფაცურებულია უშიშროება და პოლიცია, ვერტმფრენების ხმა კი ისე ხშირად ისმის, თავი საქართველოში გვეკონებათ. თუმცა ასეთ ამბებს ალბათ თბილისიდან ჩასული კაცი თუ მიაქცევს ყურადღებას, თორემ ეს ყველაფერი ამერიკულ სივრცესა და ფუსფუსში ისე იკარგება, თავსა და ბოლოს ვეღარ გაუგებ.

კალათბურთის დაუბრუნდეთ. ინდიანაპოლისი კოხტა ქალაქია, მთავარი საკალათბურთო დარბაზიც დიდებული აქვთ, მაგრამ ჩემპიონატის ტრიბუნების მოსაწყენმა სიცარიელემ ის ეშხი დაუკარგა, „პეისერზის“ თამაშებზე რომ სუფევს ხოლმე. ამჯერად ჯადოსნური რვაკუთხედი მხოლოდ ერთხელ, ფინალის დროს შეივსო და მერე მისი შემოგარენი ამერიკაში მცხოვრები იუგოსლავიელები ქომაგების ყიფინამ გააყრუა.

არც აქაურ მედიას შეუწყუხებია დიდად თავი. გაზეთებში შეჯიბრების შესახებ ბევრს ვერაფერს ნახავდით, მაშინ როდესაც ევროპული ტელეარხებით უმეტესი მატჩების პირდაპირი რეპორტაჟები გადიოდა.

ჩემპიონობა იუგოსლავიამ მოიპოვა, მაგრამ მან ოთხი წლის წინათაც გაიმარჯვა და ამიტომ მთავარი ამბავი მაინც „დრიბ თიმ 2002“-ის მარცხი იყო: სამი წავება და მეექვსე ადგილი, თანაც



REUTERS

იუგოსლავიელი ვლადე დივაცი მსოფლიოს თასით ხელში

შინ მსოფლიოს ჩემპიონატზე ამერიკა ასე უხეროდ არასოდეს გამოსულა. ხალხს უყვარს სენსაციები და მომხდარი ეგებ ბევრს ეუცნაურა კიდევ, მაგრამ მასინტელთა მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა უჩრდილისტებთან შეხვედრისას ამას არცთუ უსაფუძვლო მიზეზი მოუქმნა: ნბა-ს ფული

და გამამძღრობა მოთამაშებს საერთაშორისო ტურნირებისადმი გულს უცივებს. ისინი ტრავმებს და ემოციურ გადაძაბვას ერიდებიან, რასაც საბოლოოდ ცუდი შედეგი მოაქვს. დღესაც მჯერა, რომ ამერიკული კალათბურთი მსოფლიოში საუკეთესოა, მაგრამ ვითარება ნელ-ნელა იცვლება, კა-



REUTERS



ამერიკელებს მშობლიურ ინდიანაპოლისში არნახული სირცხვილი ჭამეს

ჯგუფში მომავალ ჩემპიონთა დამმარცხებელი პუერტორიკოელები დებიუტანტმა ახალმა ზელანდიამ გამოავლო

რგი თამაში უკვე სხვებსაც შეუძლიათ და ეგებ რაღაც-რაღაცები მათგანაც გვესწავლაო, — ასეთია კარლის დიაგნოზი.

ჩვენ კი ასეთი კითხვაც დავსვათ: ხომ არ ჰგავს ამერიკელთა მარცხი კორეა-იაპონიის საფეხბურთო მუნდიალზე ბოლოების გასაცოდავებას? ნუთუ საკლებო სპორტმა სანაკრებოზე საბოლოოდ გაიმარჯვა? თუშეცა...

1992 წლის ბერსელონის ოლიმპიადამდე, თავისი მწიგნობრივი სისტემით (კოლეჯი-უნივერსიტეტი-ნაბა) ამერიკული და დანარჩენი მსოფლიოს კალათბურთი ცალ-ცალკე არსებობდა. სხვები ამერიკულისგან მხოლოდ თამაშის დონით როდი განსხვავდებოდნენ. დიდი იყო ფინანსური უფსკრულიც. აშშ-ში ყველა დონის შეჯიბრება შემოსავლიანი გახლდათ, მის გარეთ კი... ბარსელონაში შტატებმა პირველად ათამაშა პროფესიონალები და ყველა კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ მათთვის უნდა მიეხება.

გასულ ათ წელიწადში ამერიკული უნივერსიტეტის გუნდებში უცხოელთა წარმომადგენლობა ერთიორად გაიზარდა. თუკი 80-იან წლებში თითოებზე ჩამოსათვლელნი იყვნენ, ახლა ასეულობით დაითვლით. ევროპულ სკოლებშიც ამერიკული მოდელით დაიწყო სწავლება და შედეგაც არ დააყოვნა.

ინდიანაპოლისში დამთავრებულმა მსოფლიოს ჩემპიონატმა დაგვანახვა, თუ როგორ გათანაბრდა კალათბურთი 1992 წელს დაწყებული გლობალიზაციის შემდეგ. დღეს ევროპასა და ამერიკას ერთმანეთისაგან სინათლის წლები კი არა, მხოლოდ და მხოლოდ ატლანტის ოკეანე ყოფს.


ტურნირის ერთერთ საუკეთესო, არგენტინელ ემსნულ ჯინობილის გარჯამ ამერიკელები პირველად დაამარცხა



REUTERS



REUTERS



გერმანელი დიკ ნოვიციკი ტურნირის საუკეთესო კლასიკურული ვახლა

არგენტინელთა საჩემპიონო სისარულს იუგოსლავიელებთან წაშები დააკლდა

პირველი ჯგუფური ეტაპი

A ჯგუფი

29 აპრისტი	იუგოსლავია 113:63 ანგოლა
29 აპრისტი	ესპანეთი 85:54 კანადა
30 აპრისტი	ანგოლა 84:74 კანადა
30 აპრისტი	ესპანეთი 71:69 იუგოსლავია
31 აპრისტი	ესპანეთი 88:55 ანგოლა
31 აპრისტი	იუგოსლავია 87:71 კანადა
ესპანეთი	3 3 0 244:178 6
იუგოსლავია	3 2 1 269:205 5
ანგოლა	3 1 2 202:275 4
კანადა	3 0 3 199:256 3

C ჯგუფი

29 აპრისტი	გერმანია 88:78 ჩინეთი
29 აპრისტი	აშშ 110:60 ალჟირი
30 აპრისტი	აშშ 104:87 გერმანია
30 აპრისტი	ჩინეთი 96:82 ალჟირი
31 აპრისტი	გერმანია 102:70 ალჟირი
31 აპრისტი	აშშ 84:65 ჩინეთი
აშშ	3 3 0 298:212 6
გერმანია	3 2 1 277:250 5
ჩინეთი	3 1 2 237:254 4
ალჟირი	3 0 3 212:308 3

B ჯგუფი

29 აპრისტი	ბრაზილია 102:73 ლიბანი
29 აპრისტი	პურტო რიკო 78:75 თურქეთი
30 აპრისტი	პურტო რიკო 99:77 ლიბანი
30 აპრისტი	ბრაზილია 88:86 თურქეთი
31 აპრისტი	თურქეთი 107:80 ლიბანი
31 აპრისტი	ბრაზილია 90:86 პურტო რიკო
ბრაზილია	3 3 0 280:245 6
პურტო რიკო	3 2 1 263:242 5
თურქეთი	3 1 2 268:246 4
ლიბანი	3 0 3 230:308 3

D ჯგუფი

29 აპრისტი	ახალი ჯელანდია 90:81 რუსეთი
29 აპრისტი	არგენტინა 107:72 ვენესუელა
30 აპრისტი	არგენტინა 100:81 რუსეთი
30 აპრისტი	ახალი ჯელანდია 98:85 ვენესუელა
31 აპრისტი	არგენტინა 112:85 ახალი ჯელანდია
31 აპრისტი	რუსეთი 86:69 ვენესუელა
არგენტინა	3 3 0 319:238 6
ახალი ჯელანდია	3 2 1 273:278 5
რუსეთი	3 1 2 248:259 4
ვენესუელა	3 0 3 226:291 3

მეორე ჯგუფური ეტაპი

E ჯგუფი

2 სექტემბერი	ესპანეთი 87:64 თურქეთი
2 სექტემბერი	ბრაზილია 86:83 ანგოლა
2 სექტემბერი	პურტო რიკო 85:83 იუგოსლავია
3 სექტემბერი	თურქეთი 86:66 ანგოლა
3 სექტემბერი	იუგოსლავია 90:69 ბრაზილია
3 სექტემბერი	პურტო რიკო 73:65 ესპანეთი
4 სექტემბერი	იუგოსლავია 110:78 თურქეთი
4 სექტემბერი	ესპანეთი 84:67 ბრაზილია
4 სექტემბერი	პურტო რიკო 89:87 ანგოლა
პურტო რიკო	5 1 510:477 11
ესპანეთი	6 5 1 480:382 11
იუგოსლავია	6 4 2 552:437 10
ბრაზილია	6 4 2 502:502 10
თურქეთი	6 2 4 496:509 8
ანგოლა	6 1 5 438:536 7

F ჯგუფი

2 სექტემბერი	გერმანია 84:64 ახალი ჯელანდია
2 სექტემბერი	აშშ 106:82 რუსეთი
2 სექტემბერი	არგენტინა 96:71 ჩინეთი
3 სექტემბერი	არგენტინა 86:77 გერმანია
3 სექტემბერი	რუსეთი 95:68 ჩინეთი
3 სექტემბერი	აშშ 110:62 ახალი ჯელანდია
4 სექტემბერი	არგენტინა 87:80 აშშ
4 სექტემბერი	გერმანია 103:85 რუსეთი
4 სექტემბერი	ახალი ჯელანდია 94:88 ჩინეთი
არგენტინა	6 6 0 587:466 12
აშშ	6 5 1 594:443 11
გერმანია	6 4 2 541:485 10
ახალი ჯელანდია	6 3 3 493:560 9
რუსეთი	6 2 4 510:536 8
ჩინეთი	6 1 5 464:538 7

მეოთხედიანი

5 იანვარი	ახალი ჯელანდია 65:63 პურტო რიკო
5 იანვარი	იუგოსლავია 81:78 აშშ
5 იანვარი	არგენტინა 78:67 ბრაზილია
5 იანვარი	გერმანია 70:62 ესპანეთი

ნახევარფინალი


7 სექტემბერი	იუგოსლავია 89:78 ახალი ჯელანდია
7 სექტემბერი	არგენტინა 86:80 გერმანია

ფინალი

8 სექტემბერი	იუგოსლავია 84:77 არგენტინა
--------------	----------------------------

THE SHOW MUST GO ON

REUTERS



პიტ სამპრასი და ანდრე აგასი

სამპრასი: „არ მეგონა, იმაზე უფრო დიდ რამეს თუ განვიცდიდი, რაც ორი წლის წინ, უიმბლდონის მეშვიდედ მოგების შემდეგ ვიგრძენი. მით უმეტეს წლეულს, ასეთ ვაინარულ, გაჭირვებულ სეზონში... მაგრამ დღევანდელმა დღემ ყველაფერი გადაწონა... რამდენიმე თვეს ვიფიქრებ, დაერჩე თუ წავიდე დამიჯერეთ, მე კიდევ მინდა თამაში. მე მიყვარს თამაში. მაგრამ ანდრეს მსგავსი მეტოქის ძლევა — მე ხომ ჩემი პირველი სლემტიტული სწორედ მასთან და სწორედ აქ, შორეულ 1989-ში მოვიგე — და მეთოთხმეტე ბოლოა ტურნირზე გამარჯვება — განა საუცხლო მომენტი არ არის, რათა წერტილი დასვა?“

და სერენა?

მამა რჩი ვერ კიდევ თავის ქალიშვილთა კარიერის გარიჟრაჟზე ამბობდა, რომ ქალთა ჩოგბურთი მალე „უილიამსების შოუ“ უნდა გადაქცეულიყო. ეს შოუ წლეულს „ფლეშინგ მელოუზზე“ გაგრძელდა. და, ღმერთმანი, როგორ მოგებურდა გაუთავებლად იმის შესხენება, რომ ეს შავდათა მეოთხე სლემფინალი იყო, რომ შარშან გამარჯვებული ვინუსი დარჩა, ხოლო სერენამ მას წლეულს ზემდებელ მესამედ მოუგო, რომ ის მარტინა პინგისის შემდეგ (1997) პირველია, სეზონში სამი სლემტიტუნირის მოგება რომ შეძლო და რომ შტეფი გრაფის შემდეგ (1996) აღარავის მოჰხერხებია ასე ზედიზედ სამი სლემტიტულის მოხვეჭა...

სპეციალისტები ახლა მხოლოდ იმაზე დავობენ, რა უწოდონ ამ შოუს — უილიამსებისა თუ უბრალოდ სერენასი? „ეს სერენას სლემია — ასე ამბობდა თავად უმცროსი შავა ნაფინალეკს — წლეულს ტრავმის გამო მხოლოდ ავსტრალია დამირჩა, მაგრამ მენდით, გაისად არც მაგას დავიკლებ. მე სრულიყოფილებას ველოტი და სამისოდ თავს არ ვიზოგავ არც თავს და არც არაფერს. მე გაუმაძღარი ვარ, მით უფრო, როცა ვხედავ, რამდენი რამის გაუმჯობესება შემიძლია. მე მიყვარს ომი, მე მიყვარს მოვება, მაგრამ გული იმაზე მწყდება, რომ ყველაფერ ამას ჩემს უფრო დაიკოს ვართმევ — მე ვეიყვები მისთვის და უბედნიერესი გოგო ვარ, როცა მას განარებულს ვხედავ.“

განარებული ვინუსი კი ამ ბოლო დროს ძვირი სანახაო გაგვიხდა, როცა მას ჰკითხეს თუ როგორ უნდა მიზიო სერენას, მას ასე მოუგო: „უბრალოდ მასზე უკეთ უნდა თამაში“.

ვინ ითამაშებს სერენაზე უკეთ? როდემდე შერჩება კორტს უდიადესი პიტ სამპრასი? აი, კითხვები, რომლებზეც პასუხს მომავალი სეზონი გაგვცემს.

ლეონ ქელაშრაძე



ეს აშშ-ის ღია პირველობის 122-წლიან ისტორიაში უხროვნესი ფინალი იყო — „ფლეშინგ მელოუზზე“ შეკრებილ ჩოგბურთელთა შორის უძლიერესის ვინაობა 32 და 31 წლის კაცებს აქამდე არასოდეს გაერკვიათ. ამ ფინალში აწ უკვე

დასტურ ყველა დროის უდიადესმა მჭიოვნე პიტ სამპრასმა სიყრმის დოსტსა და რაყიოთან, ანდრე აგასისთან 34-ე საკარიერო რკენაში მეოცე გამარჯვება და ზედაც მე-14 სლემტიტული მითივალა.

ორი წლის განმავლობაში კინკილა ტიტულის ვერმოძგები და საამსეზონოდ ძალზედ უმუღამოდ მოზურთავე სამპრასისგან ამას არავინ მოელოდა. არავინ, გარდა თავად პიტისა, რომელსაც თვით ყველაზე დამამტირებელი წაგებების დროსაც კი არ დაუკარგავს იმის იმედი, რომ ბედისწერას სადღაც კიდევ შეენახა მხოლოდ სამისო, სასამპრასო დიდი ტიტული.

ღონგალიენდში პოლ-ანრი მათიოსთან დამარცხების მერე პიტმა თქვა — „ფლეშინგ მელოუზს ჩემთვის გამორჩეული მნიშვნელობა აქვს, ხომ არ დაგაიწყდათ, ვინ ვარ მე და რა ვამიკეთებია იქ?“. მისი საოცარი თავდაჯერებულობის მიუხედავად, ყველა ფიქრობდა, რომ მისთვის რამდენიმე წრის გავლაც იკმარებდა, აწ უკვე ხუთჯინს აშშ-ის ჩემპიონმა კი აილო და სკეპტიკოსებს ჩვენი წინასატურნირო გათვლა-ანგარიშები თავზე დაგვახია.

„ტურნირამდე სამპრას-აგასის საფინალი შეხლაზე რომ ჩავეფსონათ, იმაზე მეტ ფულს მიიღებდით, ვიდრე პიტს ნაფინალეკს ერგო (900 ათასი). ეს საოცრებაა. განსაკუთრებით იმის გათვლილწინებით, თუ რა ბოგანოდ ჩოგნაობდა პიტის ტურნირამდე სულ რაღაც ორი კვირით ადრე“ — ამბობს ჟურნალ „SPORTS ILLUSTRATED“-ის მთავარმწერალი ჯონ ვერთჰაიმი.

31 წლის ელინორამერიკელმა მისი საკარიერო ტიტულმონგარი 64-მდე აიყვანა, ხოლო ჩოგნაობისას მოგებული ფულის მარაგი 43 მილიონ 280 ათასამდე გაზარდა. ის მეორეა ლეგენდარული ჯიმი კონორისის შემდეგ, ვინაც ღია პირველობათა ერაში, აწ 1968 წლიდან, აშშ-ის ღია პირველობის მეხუთედ აოხრება მოახერხა. 8 სექტემბრამდე იგი ერთადერთი იყო, ვისაც ოდესმე 13 სლემტიტული მოხვეჭა და ალბათ კიდევ მრავალი ჩოგანი გაიქნევა, ვიდრე კაცობრიობა მისდარად 14-გზის მესლემტიტულეს იხილავს...

სერენა უილიამსი



REUTERS

სპორტის დედოფლის რაინდი

სოსო კობორაძე

1999 წლის სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ამერიკელი სპრინტერი ტიმ მონტგომერი 100 მეტრზე რბენაში ოდენ მეექვსეობას დასჯერდა და არც არავის და, მით უფრო, არც თავად ტიმს მოულოდნელად, წარუმატებელ შედეგად არ ჩაუთვლია.

2002 14 სექტემბერს, პარიზში, „დიდი პრიზის“ ფინალში მონტგომერმა ყველაზე სწრაფად, 9,78 წამში გაირბინა 100 მეტრი და, ცხადია, გაიმარჯვა. 9,78 წამი კი... პარიზში მძლეოსნობის ყველაზე პრესტიჟულ დისციპლინაში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაიბადა.

და არც არავის და, მით უფრო, არც თავად ტიმ მონტგომერის ეს ფანტასტიკური შედეგი არ გაკვირვებიათ. არა იმიტომ, რომ აწ უკვე ყოფილი რეკორდსმენი, ამერიკელი მორის გრინი სარბენ ბილიკზე ქროლვის ნაცვლად, ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს პარიზულ სასწაულს, არამედ... სევილიას დაუბრუნდით.

ესპანეთში ტიმს მოწაყლე თვალით შეხედა ტრევიორ გრემი, რომელზეც სამძლეოსნო სამყაროში ისეთივე მოწიწებით საუბრობენ, როგორც, ვთქვათ, ფეხბურთში ფეოლაზე, რინუს მიხელსზე, სერ ალფ რამსეზე და ელენიო ერერაზე. გრემის გამორჩეულ მოწაყეთაგან საკმარისია ვასსენოთ მარიონ ჯონსი, რომელიც ქალ სპრინტერთა ამქარს კარგა ხანია, ზემოდან დაჰყურებს.

ერთი სიტყვით, გრემიმ მონტგომერის გაწვრთნას მიჰყო ხელი და წარმატებებამაც არ დაახანა. 2000 წლის ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატზე ესტაფეტაში ოქრო, ინდივიდუალურ გარბენში კი ვერცხლი ირგუნა. ამას მოყვა სიდნეის ოლიმპიადის გუნდური ბრინჯაო და მონტგომერიზე უკვე სხვაგვარად ალაპარაკდნენ.

საქმე ისაა, რომ ერთ დროს ფეხბურთელობაზე (ცხადია, ამერიკული ფეხბურთი იგულისხმება) მეოცნებე მონტგომერის, საფეხბურთო კარიერის მოწყობაში ტრავმამ რომ შეუშალა ხელი და მძლეოსნობას შეეკვდლა, პირდაპირ ვთქვათ, დიდ ხვითოთ არავინ თვლიდა. არც იმის უთქმელობა ეგების, რომ სარბენ ბილიკებზე ვარჯიშის ნაცვლად, საექიმო კაბინეტში ტრავმებს იამებდა.

და ტრავმებთან და იღბალთან მეტროდულ ტიმს გაუპართლა — პარიზული სასწაულის შემოქმედს ამიერიდან ისეთი ლეგენდების გვერდით მოიხსენიებენ, კარლ ლუისი და მორის გრინი რომ არიან.

„მონტგომერიმ ბრწყინვალედ ირბინა, ის მსოფლიოს რეკორდის ღირსია, მაგრამ ახალ სეზონში მიფრთხილდეს“ — თქვა მორის გრინმა. ჯერჯერობით კი მსოფლიოს უსწრაფესი კაცი, სპორტის დედოფლის რაინდი ტიმ მონტგომერია.



9,78 — ტიმ მონტგომერმა დროს გაუსწრო

რეკორდიდან რეკორდამდე			
6 ივლისი	1912	ფონალდ ლიპინაოტი (აშშ)	10,6
23 აპრილი	1921	ჩარლზ ჰიტჩოკი (აშშ)	10,4
9 აგვისტო	1930	პერსი უილიამსი (კანადა)	10,3
20 ივნისი	1936	ჯეისი რუენსი (აშშ)	10,2
3 აგვისტო	1956	უილიამ უილიამსი (აშშ)	10,1
21 ივნისი	1960	ერბინ ჰარი (გვრ)	10,0
14 ოქტომბერი	1968	ჰი ჰინსი (აშშ)	9,95
3 ივლისი	1983	კელვინ სმიტი (აშშ)	9,93
24 სექტემბერი	1988	კარლ ლუისი (აშშ)	9,92
14 ივნისი	1991	ლარი ბარბი (აშშ)	9,90
25 აგვისტო	1991	კარლ ლუისი	9,86
6 ივლისი	1994	ბარბი	9,85
27 ივლისი	1996	ფონონ ბილი (კანადა)	9,84
16 ივლისი	1999	მორის გრინი (აშშ)	9,79
14 სექტემბერი	2002	ტიმ მონტგომერი (აშშ)	9,78



სიბიუჯე ერთი ცხოველისა

ცხრა ფუჩის და ცხრა ბრძოლის მუხამაზაო ღააკონის მთავარ

ბიორგი დარჯანია

ბასსოვში ოცი წლის წინანდელი ვიდეო-ბუმი? ეს ახლად ვიდეო ჩვეულებრივი საოჯახო ნივთი, მაშინ კი... საქმე კურიოზებამდე მიდიოდა: 1980 წელს ზესტაფონში, ერთმა ჩემმა ნაცნობმა ოჯახმა ვიდეო იყიდა და მთელი ერთი წელი ვერ ჩართო. ბოლოს ქუთაისში ვიღაც ნახეს, ვინც ჩართვა ასწავლა.

დღეს ეს დაუჯერებელი ამბავია, მაშინ კი სწორედ ასე იყო. თბილისში სულ რამდენიმე ოჯახს ჰქონდა ვიდეო და ნაცნობ-მეგობრებს ისეთი სიამაყით უჩვენებდა, როგორც მანამდე ათწლეულებით ადრე ტელეფონსა და ტელევიზორს.

მაღე ვიდეოთი ბიზნესც დაიწყო. ათითხუთმეტი კაცი ვიდეოს ქირობდა და მთელი დამე უყურებდა ათიოდე ფილმს. აბა, სად „ილუზიონში“ ნანახი ფილმი და სად ვიდეოზე...



მაშინ ბავშვების უსაყვარლესი ვიდეო-მირი ბრიუს ლი იყო. მოგვიანებით გამოჩნდნენ რემბოები და პორნოგირები, პირველი კი ბრიუს ლი გახლდათ — იმ ბავშვებისთვისაც კი, რომელთაც არათუ ლი, ვიდეოც თვალთ არ ენახათ და დიად მოჩხუბარს ოდენ სხვათა მონაცოლით იცნობდნენ.


როცა თბილისში ბრიუს ლი გაიციეს, ის უკვე მკვდარი იყო. 1972 წლის ივლისის ცხელ დღეს მთელი სიეტლი შეიკრიბა გმირთან გამოსათხოვებლად. აცრემლებულ ადამიანებს ლის სურათები და სანთლები ეჭირათ. იქ იყო ჩაკ ნორისიც, კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება დასცინოდა სენტიმენტალურ ადამიანებს. თვლები ნორისსაც სველი ჰქონდა. რაზე ფიქრობდა? შესაძლოა, ლისთან პირველ შეხვედრაზე, 1965 წელს. მაშინ ჩაკ ნორისმა თერთმეტ საათში ცამეტი ჩხუბი ჩატარა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. გასახდელში მასთან ლი მივიდა და გამარჯვება მიუღოცა. შესაძლოა, ჩაკ

ნორისს ეჭირის კლასიკად ქცეული ორთაბრძოლაც გაახსენდა, რომის კოლიზეუმში, ფილმიდან „დრაკონის დაბრუნება“, ოღონდ იმ ფილმში ნორისი კვდება, ბოროტების დამმარცხებელი ბრიუს ლი კი მშობლიურ პონკონგში ბრუნდება.

დაკრძალვის დროს სან-ფრანცისკოს ერთ-ერთ ეკლესიაში ლის პანაშვიდი გადაუხადეს. რატომ სან-ფრანცისკოში? ბრიუს ლი ამ ქალაქში დაიბადა.

ყველაფერი ასე დაიწყო: სან-ფრანცისკოში ტურნეში მყოფი ჩინური თეატრის „სიციუსი“ მოცეკვავე ლი ხუელ ჩუნს ბიჭი შეეძინა, 1940 წელი იყო, აღმოსავლური კალენდრით დრაკონის წელი. ამიტომაც იყო, რომ მშობლებმა ბავშვს





სილო ლუნ ლი დაარქვეს, რაც „პატარა დრაკონს“ ნიშნავს. ჩინური ტრადიციის გამო ბავშვს მეორე სახელიც ჰქონდა, ლი ჩუნ ფანი — „სან“ ფრანცისკოს დამცველი“. დედამ ესეც არ იკმარა და კუნგ-ფუს მომავალ მეფეს ქრისტიანული სახელი დაარქვა — ბრიუსი.

ტურნეს დამთავრების შემდეგ ოჯახი ჰონკონგში დაბრუნდა.

წლები გადიოდა, მაგრამ მითიური დრაკონის ბავშვის მფარველობას სულაც არ აპირებდა. ბრიუსი მეტისმეტად დაბალი და სუსტი ბავშვი იყო, მხედველობა არ უვარგოდა, მარცხენა ფეხიც მოკლე და ოდნავ ამობრუნებული ჰქონდა. ისე ჩანდა, რომ მამის ოცნებას, შვილიც მასავით მოცეკვავე გამოსულიყო, ახდენა არ ეწერა.

მაგრამ ყველაფერი არც ისე ცუდად ყო-

ვილა. ლი ჩუნი შეიღოს ყოველდღიურად ამცადინებდა და მასში რიტმის უზადო გრძნობა აღმოაჩინა. ამასთან ბრიუსი გასაოცარი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა.

განა ხშირად ამართლებენ შვილები მშობლების იმედებს?

ბრიუსმა ცეკვის გაკვეთილებზე ნელ-ნელა გული აიკრუა, სამაგიეროდ სახლში სულ უფრო ხშირად ბრუნდებოდა ტუნგანეთიელი და თვალეზბალურჯებული. ბიჭი ქუჩამ გაიტაცა, ჰონკონგის უბნები კი მაფიოზურ დაჯგუფებებთან ერთად არასრულწლოვანთა სამძობად იყო დაყოფილი, ყველა თავის ტერიტორიას იცავდა. ეწყობოდა სასტიკი გარჩევები. ერთხელ მეზობელი უბნის სა-

ძმოს მეთაურმა ბრიუსს ოთხსართულიანი სახლის სახურავზე ჩხუბი შესთავაზა. ბრიუსი სახლში გვარიანად ნაცემი დაბრუნდა, მაგრამ სახურავიდან გადავდებას კი გადაურჩა. მალე იგი მიხვდა, რომ უკეთ ჩხუბობს ის, ვინც იცის, როგორ იჩხუბოს.


მთელ სამხრეთ ჩინეთში განთქმულმა ოსტატმა ლიბ მენმა თავის მოსწავლეებს შორის უცხად გამოარჩია ტანდაბალი ბიჭი, რომელიც სწრაფად ითვისებდა კუნგ-ფუს უროულეს ილეთებსაც კი. ოსტატმა კმაყოფილი იყო, კმაყოფილები იყვნენ მშობლებიც, რადგან ბრიუსი თავის ცოდნას ჰონკონგის ბნელ ჩიხებში უკვე აღარ იყენებდა და შინაც დაისახლიანებული აღარ ბრუნდებოდა. ლიბ მენი თავის მოსწავლეებს უპირველესად იმას ასწავლიდა, რომ ორთაბრძოლის არსი მოწინააღმდეგისთვის სასიკვდილო დარტყმის მიყენებაში კი არ მდგომარეობს, არამედ სულიერი და ფიზიკური სრულყოფილების მიღწევაში.


და მაინც, გამოსწორებულ ბრიუსს ჰონკონგის დატოვება მოუხდა — უნიჭიერეს ბიჭს ჰონკონგის უმსხვილესმა მაფიოზურმა დაჯგუფებამ, K-34-მა დაადგა თვალი და შეშინებულმა ლი ჩუნმა შვილი სასწრაფოდ განარიდა იქაურობას, სიეტლში გააგზავრა.

ბრიუსმა სიეტლში, ედისონის ტექნიკურ სკოლაში დაიწყო სწავლა. შემდეგ იქაური უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე მოეწყო, თუმცა კუნგ-ფუ არ მიუტოვებია. ყოველდღიურად ექვს საათს ვარჯიშობდა. კუნგ-ფუს ნაირსახეობების გარდა ამერიკაში იმხანად შემოსული კარატე, ძიუდო, ჯიუ-ჯიცუ და კრივი შეისწავლა. აქედან ჩამოყალიბდა მისი განთქმული სტილი, ცზიტ კუნდო, რაც „დასწრებაზე მოქმედი მუშტის გზას“ ნიშნავს. ბრიუსმა ფაკულტეტზე კუნგ-ფუს სექციაც გახსნა და მოგვიანებით ერთ-ერთი თავისი მოსწავლე, შვედი ლინდა ემერი ცოლად შეირთო.

ბრიუსის სახელი ნელ-ნელა გავრცელდა და სამხრეთით, ჰოლივუდამდე მიადწია, სადაც მის ტექნიკაზე, უპირველესად კი ფანტასტიკურ სისწრაფეზე ლეგენდები დადიოდა. დეტექტივ კატოს როლმა მთელი ამერიკა აალაპარაკა. პროდიუსერებმა ოქროს სუნი იკრეს და დაიწყეს...

კინოში მუშაობამ ბრიუსს ლის სახელი და კეთილდღეობა მოუტანა, მაგრამ ის მაინც უკმაყოფილო იყო. ოსტატმა ლიბ მენმა მას თავისუფლებისკენ სწრაფვა შთააგონა, ჰოლივუდში კი თავისუფლება, აბა, ვის ჰღირსებია. ბრიუსი უპოპულარულესი





ფობერ, დედ-მამა, რობერტ და ბრიუს (წინ) ლიები



ლინდა ემერი ბრიუსი და პატარა ბრენდონი

მსახიობი იყო, მაგრამ რეჟისორები და პროდიუსერები თავის ჭკუაზე ატარებდნენ. ბრიუსმა პოლიუდის დამარცხების გზა მოძებნა — იქიდან წავიდა. ჰონკონგში დაბრუნების წინ მან ჩაკ ნორისს უთხრა: „მოვა დრო და პოლიუდი მიხვდება, რომ უჩემოდ არაფერი გამოსდის. აი, მაშინ დავბრუნდები და პროდიუსერებს ჩემს პირობებს წავუყენებ“.

ბრიუს ლი ჰონკონგში დაბრუნდა. ბრიტანეთის ოთხმილიონიანმა კოლონიამ ის ეროვნულ გმირად მიიღო.

ჰონკონგის უმდიდრესი უბანი კოულუნ ტონგი. ულტრათანამედროვე ვილა. გარაჟში უძვირესი მანქანები. მაგიდაზე ჟურნალ-გაზეთების გროვა ფოტოებით, რომლებშიც ბრიუს ლი უღამაზეს ჰონკონგელ ასულთა გარემოცვაშია გადაღებული. გუშინ კარლო პონტიმ დაურეკა და თავის ცოლთან სოფი ლორენტთან ერთად გადაღება შესთავაზა, დღეს სცენარი გაუზავნეს, — მთავარი გმირები ის და ელვის პრესლი არიან. ხვალ „უორნერ ბრაუნერისისგან“ ჩეკს მიიღებს, სადაც თანხის გრაფა ცარიელია, თავად უნდა შეავსოს. ერთი სიტყვით, ახლა ის, რასაც ლი ჩაკ ნორისს ეუბნებოდა, თუმცა პოლიუდში დაბრუნებას არ ჩქარობდა. ჰონკონგში გადაიღო თავისი ორი საუკეთესო ფილმი „დრაკონის გამოჩენა“ და „დრაკონის დაბრუნება“.

და კვლავ გამოერდა ძველი ამბავი, ბრიუსი მიხვდა, რომ თავისუფლება ვერც სამშობლოში იპოვა. უფრო სწორად, ლიმ შეუძლებელი მოინდომა — სახელი და ფული ჰქონოდა და მის პირად ცხოვრებაში ცხვირი არავის ჩაეყო. მოპებრდა გაუთავებელი წვეულებები, ერთი და იმავე კითხვების მოსმენა და მათზე პასუხის გაცემა.

გმირისგან სცივე რომ იგრძნო, პრესამ და ბიომონტაჟ ასევე უპასუხა. ახლა ბრიუს ლიზე მხოლოდ დამცინავი წერილები იწერებოდა, მისთვის ყველა კარი დაიკეტა. უამრავი დაუძინებელი ბტერი შეიძინა სხვა წრეებშიც — ბრიუსმა წარმოიდგინა, რომ ჰონკონგური კინოინდუსტრია მხოლოდ თვი-

თონ იყო და რამდენიმე იქაური სტუდია გააკოტრა. მისი პირდაპირობა ხშირად ზრდილობის ზვარს სცილდებოდა.

ცხოვრების ამგვარმა რიტმმა ჯანმრთელობა საბოლოოდ შეურყია. ჯერ კიდევ „დრაკონის გამოჩენის“ გახმოვანებისას გრძნობა დაკარგა და ძლივს მოასულიერეს. ამ შემთხვევამ ყველაზე მეტად ლინდა ემერი შეაშინა — ეხვეწებოდა, თუნდაც რამდენიმე კვირით დაისვენეო. ვერ დაიყოლია. ბრიუსი უკვე შემოლივით განაგრძობდა უთავბოლო რბოლას. თავის ქცევას ვეღარ აკონტროლებდა, სრულიად უმიზეზოდ შემოელახა სცენარისტი მაიკლ ალენი და პროდიუსერი ფრედ ვაინტრაუბი. დავაზუსტოთ, როცა ვამბობთ, რომ ბრიუს ლის ვიღაც შემოელახა, ეს გალახვაზე ცოტა მეტს ნიშნავს. მერე იარაღის ტარებაც დაიწყო და რამდენიმე კვირაში ათი კილო დაიკლო. ვითარება სასწრაფოდ ჩარევას მოითხოვდა, ექიმებმა ტვინის სიმსივნეზე აიღეს ეჭვი, მაგრამ დიაგნოზის დაზუსტება საჭირო აღარ გახდა: 1972 წლის 23 ივლისს 32 წლის ბრიუს ლი სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა. ოფიციალური ვერსიით, ჩაქცევა რაღაც აბების ზედმეტმა დოზამ გამოიწვია.

მაგრამ ბრიუს ლი გმირი იყო, გმირები კი იმავე პოლიუდური თუ ჰონკონგური სიუჟეტების მიხედვით „რაღაც აბებით“ არ კვდებიან. უფრო საინტერესო ვერსიები იყო საჭირო და ისინიც შეიქმნა. განა ძნელი იყო? როცა გაირკვა, რომ ბრიუსი სავადმყოფოში ჰონკონგელი ლამაზმანის ბეტი ტონგის სახლიდან წაიყვანეს, უმაღლესად ხმა, რომ „პატარა დრაკონი“ ბეტის საწოლში, სექსის დროს მოკვდა. ასევე გამოჩნრიკეს, რომ ბრიუსი ხანდახან ნარკოტიკებითაც ერთობოდა — ესეც სიკვდილის კიდევ ერთი ვერსია.

პრესა ამაზე არ გაჩერებულა. კიდევ ერთი ვერსიით ბრიუსი დაქორავებულმა მკვლელმა მოწამლა. ბოლოს სულ აბსურდული ჭორი გავრცელდა, ბრიუსი ტიბეტელმა ბერმა ენერგეტიკული დარტყმით განგმირაო. მოხუცი ჰონკონგელები ამტკიცებდნენ, ბრი-


უს ლი ფუნგ შუის წმიდათაწმიდა კანონის დარღვევამ დალუპა, როცა ცხრა შურისა და ბოროტების მფრქვეველ დრაკონს გაურეგდა, სიკვდილის მოახლოების პირველი ნიშანი კი კოულუნგ ტონგში დასახლება იყო, მაგრამ მოხუც ჩინელებს ყური არავინ ათხოვა.

ჭორები... ამ ჭორების გამო ლინდამ ქმრის ჰონკონგში დაკრძალვა არ ისურვა და იგი სიეტლში გადასვენა, იქ, სადაც ერთად უბედნიერესი წლები გაატარეს. სიეტლის უნივერსიტეტთან ახლოს არის ლეიკ ვიუს სასაფლაო.

ბრიუს ლის საფლავის ქვას გადაშლილი წიგნის ფორმა აქვს. ზედ ასეთი წარწერაა: „შენს შთაგონებას თავისუფლებამდე მიყვებით“. ეს სიტყვები თავიანთსმკვლელმა თქვეს ბრიუსზე, თავად კი ხშირად იმეორებდა: „ჩემი სტილი ყველა სტილია, საბრძოლო ხელოვნების ოსტატი მის ტრადიციებზე მაღლა დგას“.

ბრიუს ლი მსოფლიოს ჩემპიონი არასდროს ყოფილა, მის უკანასკნელ ფილმს კი „სასიკვდილო თამაში“ ერქვა.





გვაგები თოვლზე

ავთანდილ გურასაშვილი

მთებისა და მთამსვლელებისთვის წლები ვანდელი წელიწადი ორმაგად გამორჩეულია: ჯერ ერთი, მთამსვლელები თავიანთი საერთაშორისო ფედერაციის (უიამ) დაფუძნების 70 წლის იუბილეს აღნიშნავენ, მეორეც, 2002 წელი გავროს მიერ მთების წლადაა გამოცხადებული.

როგორ შეხვდნენ ამ ღირსსახსოვარ თაბრის მთები და მთამსვლელები?

მამინ, 1932 წელს, საფრანგეთის მაღალმთიან შამონში, როცა ავსტრიის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, იუგოსლავიის, საფრანგეთისა და შვეიცარიის მთამსვლელთა ეროვნული ორგანიზაციები უიამს არსებდნენ, ალბათ ვერც იფიქრებდნენ, რომ 70 წლის მერე მთამსვლელობა ასე შორს წავიდოდა. გასული საუკუნის 30-იან წლებამდე ალპინიზმი ძირითადად ალპებში და კავკასიონზე ვითარდებოდა, უფრო სწორად, იმ დროისთვის ალპებზე და კავკასიონზე თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მწვერვალი დალაშქრული იყო, თანაც ურთულესი კედლოვანი გზებით: ამიტომ მთამსვლელთა მხერამ პამირისა და ტიან-შანის შვიდათასიანებისკენ და ჰიმალაის რვაათასიანებისკენ გადაინაცვლა.

ახლა უკვე მრავალი წელია, რაც მთამსვლელებმა ყველა მთათა სისტემა აითვისეს და ურთულესი გზებით დაკეპნეს, მათ შორის ჰიმალაისა და ყარაყორუმის ცათამბჯენები თუ სამხრეთ პოლუსის პიკებიც. არიან მთამსვლელები, რომლებმაც ყველა რვაათასიანი დალაშქრეს, არიან ისეთებიც, ვინც ყველა კონტინენტის უმაღლეს მწვერვალზე ასულა, ნაწილი კი ორივე „კოლექციით“ იწონებს თავს. ამას წინათ ყველა კონტინენტის უმაღლესი მწვერვალების დამლაშქვრელთა რიცხვს შეემატა უსინათლო მთამსვლელიც — 33 წლის ერიკ ვაპენმაიერი.

კონტინენტების კენჭეროებზე ასვლაზე ფიქრი მან ჯერ კიდევ მამინ დაიწყო, როცა თექვსმეტისა იყო. ეს ოცნება არც მამინ ამოუვდია თავიდან, როცა 20 წლისამ თვალის ჩინი დაკარგა. ვაპენმაიერი მიზნისკენ თავისი მეგობარი მთამსვლელების თვალებით ადიოდა. ისინი სხვადასხვა მწვერვალზე იცვლებოდნენ, ვაპენმაიერი კი „გზაზე“ რჩებოდა. ასე დალაშქრა მან ჯერ მაკკინლი (ჩრდილოეთი ამერიკა), კლიმანჯარო (აფრიკა), აკონკაგუა (სამხრეთი ამერიკა), ვინსონი (სამხრეთი პოლუსი), ევერესტი (აზია), რამდენიმე თვის წინათ — ალბუზი (ევროპა), რამდენიმე დღის წინათ კი — კოსტიუმკო (ავსტრალია).

და მაინც, ყველა მთამსვლელი და ბევრი

არამთამსვლელიც ისწრაფვის დედამიწის უმაღლესი მწვერვალისკენ და ისიც ლამის 1350-ჯერ გაეგო მათ ფეხქვეშ. 1950 წლიდან მოყოლებული, როცა პირველი რვაათასიანი, ანაპურნა დანებდა მთამსვლელებს, ამგვარ გოლიათებზე 5100-ზე მეტი კაცი ავიდა.

ნეპალის ჰიმალაის მთებს უამრავი სამითო ტურისტული სტუმრობს, ეს ამ ცადატორცნილ ქვეყანას უდიდეს შემოსავალს აძლევს, მაგრამ რა უჯდებათ მთამსვლელებს მთებისკენ ასეთი დაუოკებელი ლტოლვა? ან რა უჯდება თავად მთებს მთამსვლელთა ეს შემოსევა, რომელიც ყოველწლიურად სულ უფრო ძლიერდება?

ამაზე უკვე მრავალი წელია ბჭობენ, რადგან მთამსვლელთა და სამითო ტურისტთა ასეთ მოზღვაგებას ნეპალის მთებისთვის ზიანიც მოაქვს. ამ ოცი წლის წინათ, როცა ევერესტის რაიონში საგაზაფხულო სეზონზე სამად-სამი ექსპედიცია მოეწყო და მეტი გუნდი მანამდე იქ თითქმის არც იყო ჩასული, დღლის გაზეთი „ნემენლ ჰერალდი“ წერდა, დედამიწის უმაღლესი მწვერვალის რაიონი „გაუვად ეკოლოგიურ ჯურღმულად“ ქცეულაო. წარმოიდგინეთ, როგორ გაიზრდებოდა ეს ჯურღმული ბოლო წლებში, როცა ევერესტის რაიონში, სადაც მის გვერდით აღმართულა კიდევ ერთი რვაათასიანი — ლჰოცზე და ლამის მისი ტოლი ნუფცზე, მარტო საგაზაფხულო ასვლებისას 20-25 ექსპედიცია იყრის თავს. მათ მიერ დატოვებული ნაკვით ივსება არა მხოლოდ საბაზო, არამედ ზედა ბანაკებიც. ეს ნაკვითა: ცარიელი კონსერვის ქილები, სიგარეტის კოლოფები, ცე-

ლოფნის პარკები, უამრავი ცარიელი ჟანგბადის ბალონი, კარვის ნაფლეთები, ყინულის თუ კლდის პალოები.

ახლა ექსპედიციებს ასვლის დაწყებამდე ახდევინებენ ზედმეტ თანხას, რაც ლაშქრობის დასრულების მერე უბრუნდებათ, თუ ნარჩენებს უკანვე ჩამოიტანენ, მაგრამ ეს ნაგავი არავის ან თითქმის არავის ჩამოაქვს, ჩვეულებრივ, ექსპედიციის დასასრულს ყველანი ილაჯგაწვევები არიან და ბარგს კი არა, უმეტესობა საკუთარ ფეხებს გაჭირვებით მოათრევენ. ასე რომ — „ზედმეტი თანხა“ ნებალის ხაზინას რჩება, უფრო სწორად, იმ სახსრებით მწვერვლების გამწმენდ ეკოლოგიურ ექსპედიციებს აფინანსებენ.

პირველი ასეთი საერთაშორისო ექსპედიცია ამ საბიწლის წინათ ევრესტის ჩრდილოეთ კალთებზე მოეწყო იაპონელი კენ ნოგუჩის მეთაურობით. იგივე განმეორდა შარშანაც, წლეულს კი ამ ექსპედიციამ სამხრეთის ფერდობებზე გადმონაცვლა. თითოეულმა ექსპედიციამ სხვადასხვა სიმაღლიდან ორ-ორი ტონა ნარჩენები ჩამოიტანა, ძირითადად ჟანგბადის ბალონები.

სამივე ექსპედიციაში მონაწილეობდნენ თბილისელები, მთამსვლელი ვია თორთლაძე და გუნდის ექიმი ზურაბ ასტახიშვილი.


როგორც ვია თორთლაძემ გვითხრა, ევრესტზე ასვლისას, გზად არაერთხელ გადაყრიან დაღუპულ მთამსვლელთა გვამებსაც, რომლებიც „ტრასიდან“ გადაუსვენებიათ ქვადორლისგან სახელდახლოდ მოწყობილ „აკლდამებში“ და მწვერვალისთვის უფრო საიმედოდ მიუბარებიათ.


სულ ამ მწვერვალზე 180-მდე კაცი დაიღუპა. მათ შორის არ ვგულისხმობთ 1995 წელს ევრესტის საბალონებს ზეგავში ჩამარხულ 61 კაცს: მთამსვლელებს, უფრო მეტ სამთო ტურისტს, აგრეთვე მებარგულებს, ვისაც ამ სამწუხარო სტატისტიკაში არ მოიხსენიებენ, რადგან ტრაგედია არც მწვერვალზე დატრიალებულა და არც მის საბაზო ბანაკში.

რვაათასიანებს საბოლოო ანგარიშით, 620-მდე მთამსვლელი ემსხვერპლა. ისინი იქვე განისვენებენ და ამ ბუმბერაზთა ნაწილად ქცეულან, რაკილა მათი ჩამოსვენება სხვების სიცოცხლისთვის საფრთხეს უქადის. ეგეც არ იყოს, დაღუპულთა ჩამოსვენება-არჩამოსვენების საკითხზე მთამსვლელთა შორისაც არ არის ერთსულოვნება.

ეტყობა, ამ პრობლემას ვერც გაეროს მიერ წლეგანდელი წლის მთის წლად გამოცხადება გადაჭრის და ეს საკითხი მარადიულ თემად დარჩება.

მთაში კი მუდამ ივლიან მთამსვლელები და გზად სულ უფრო მეტი დაღუპული ალპინისტის ცხედარს გადაყრებიან...





დარდანელზე გაკატეხული კასის თავგადასავალი

გურანდა გურასაშვილი
პეგორის ფოტოგრაფი

ამ წერილით ვიამბობთ თბილისელ ჰენრი კუპრაშვილზე, რომელმაც დარდანელის სრუტის გადაცურვით ევროპა და აზია ერთმანეთს დაუკავშირა. ეს მოხდა 30 აგვისტოს თურქეთში, პატარა საპორტო ქალაქ ჩანაკალეში.

ეს ქალაქი ტროას ნანგრევებიდან სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

ამ ლეგენდარულ ადგილთან ბევრი მითი და თქმულებაა დაკავშირებული. თავად სრუტის სახელიც მითიურია. იგი წარმოდგება ბერძნული ლეგენდიდან, რომლის მიხედვითაც ამ მიდამოებს მეფე დარდანოსმა თავისი სახელი დაანათლა.

ტროასა და დარდანელთან დაკავშირებული მეტად საინტერესო ლეგენდები, თქმულებები თუ ისტორიული ამბები თავისი საარაკო გადაცურვით ჰენრი კუპრაშვილმაც გაამდიდრა.

როგორც ცნობილია, დარდანელი 120-კილომეტრიანი სრუტეა, რომელიც ერთი მხრივ ეგეოსისა და მარმარილოს ზღვებს აერთებს, მეორე მხრივ კი მცირე აზიასა და ბალკანეთს ერთმანეთისგან ყოფს. მისი მაქსიმალური სიგანე 18,5 კილომეტრია, ხოლო ყველაზე ვიწრო ადგილი — 1300 მეტრი.

დარდანელის სრუტე პირველად ინგლისელმა ლორდმა ჯორჯ გორდონ ბაირონმა გადაცურა.

მას შემდეგ დარდანელი

ცურვით არაერთმა ადამიანმა გადალახა, მაგრამ ეს ჰენრი კუპრაშვილივით ხელფეხშეკრულს არავის უცდია. უცდია კი არა, აზრადაც არავის მოსვლია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, საქართველოს უშიშროების საბჭოს თანაშრომელმა, ოთხი შვილის მამამ, 56 წლის ჰენრი კუპრაშვილმა კი პირველივე ცდა წარმატებით დააკვირგინა.

სხვათა შორის, ხელფეხშეკრული ცურვის ელემენტები ამერიკის სპეციალური ქვედანაყოფების მეზღვაურთა მომზადების პროგრამაში შედის. ეს მეზღვაურები ოცნებობენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ელიტარული სამხედრო-საზღვაო ფლოტის მცვინთავეები ანუ სუპერკომანდოსები გახდებიან, რომლებიც „ზღვის კატების“ სახელით არიან ცნობილი. თუმცა, ასეთ ქვედანაყოფში მოსახვედრად გამოცდის ჩაბარება ყველას არ შეუძლია. საქმე ისაა, რომ შემდეგი საფეხურის გადალახვამდე აუზში 10 წუთის განმავლობაში ხელფეხშეკრული ყოფნა საჭირო (ზურგს უკან შეკრული ხელებით). მას შემდეგ, რაც დრო ამოიწურება, თითოეულმა მათგანმა აუზის ფსკერზე დაგებული სათავად ტერფებით უნდა ამოიღოს.

ჰენრი კუპრაშვილი „ზღვის კატებზე“ გაცილებით შორს წა-

ვიდა. მან 3 საათისა და 15 წუთის განმავლობაში შეუსვენებლივ იცურა დელფინის მსგავსი თუ ტალღისებური მოძრაობით. ამასთან, ცურვისას ხელები გვერდების გასწვრივ, იდაყვებთან და მჯეკებთან მაგრად ჰქონდა შეკრული. ასევე ჰქონდა შეკრული ფეხებიც — მუხლებთან და კოჭებთან, რაც ოდნავი განძრევის საშუალებასაც არ აძლევდა.

იმ დღეს ჩვეულებრივ მშვიდი დარდანელის სრუტე რატომღაც აბობოქრდა, აზვირთდა და ატორტმანდა. თურქი ჟურნალისტებს სახეზე ირონიული ღიმილი აღებუჭდათ, რადგან არათუ ხელფეხშეკრული ადამიანი, კატარღაც კი ძლივს მიააბობდა ტალღებს.

თავდაპირველად მოცურავე სანაპიროს გასწვრივ დინებამ გაიტაცა. იგი კარგა ხანს მიზანს უფრო შორდებოდა, ვიდრე უახლოვდებოდა, მაგრამ მერე, დინებას თავი რომ დააღწია, ტო-

რპელსავით გაიჭრა წინ.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ყველას გასაკვირად, კუპრაშვილი ფინიშზე ჩვეწზე მხნედ გამოიყურებოდა. ეს გაკოჭილი კაცი წყლიდანაც დაუნმარებლად ამოვიდა. თურქი ჟურნალისტის შეკითხვაზე, ცურვის დროს რაზე ფიქრობდიო, უპასუხა, ლა-მანშის გადაცურვაზე.


ასე რომ, ევროპაში, ევიაბათის ნავსადგურში აღებული სტარტი ჰენრი კუპრაშვილმა აზიაში, ჩანაკალეს გარეუბან ქეფეზში, სადამდეც 12 კილომეტრი აღმოჩნდა, 3 საათსა და 15 წუთში დაასრულა. იქ თურქმა ჟურნალისტებმა იგი თურქული და ქართული დროშებით შემოსეს.

მეორე დღეს ამ ამბის ამსახველი კადრები თურქეთის ყველა ტელე-არხზე ტრიალებდა, გაზეთებში კი პირველ გვერდებზე დაიბეჭდა.

დღემდე ეს გაცურვა 1200-ზე მეტმა უცხოურმა გაზეთმა თუ ტელევიზიამ გააშუქა. ინტერნეტვერსიტი სავესტა წერილებით, რომლებშიც ბატონ ჰენრის ამ ძველი კოლხური სტილით ცურვის სახელმძღვანელოს სთხოვენ.







ელდარ კურტანიძემ შეძლო...
შეძლო ის, რაზეც ბავშვობიდან ოცნებებოდა.
რასაც მისგან კარგა ხანს ველოდით და
რასაც დიდი ხანია იმსახურებდა.
შეძლო იქ, სადაც თითქმის შეუძლებელი იყო...
თაირანი. თავისუფალ მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი.
96 კგ. წონითი კატეგორია.
ფინალში ელდარ კურტანიძემ
ირანელი ალირეზა ჰაიდაერი დასცა.

ელდარ კურტანიძე მსოფლიოს ჩემპიონია